საქართველოს მემარცხენე სოციალ-დემ. სარევ. პარტია.

ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 2,500,000 მან.
ცალკე ნომერი უველგან 150,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახალხის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34.

განცხადების ფასი:
1 გვ. 20 კაპ. ჩერვონ. ფონსპარეტი
4 „ 15 „ „ „
სამგლეკვიანის განცხადება
1 გვ. 1 მ. 50 კ. ჩერვონ.
4 „ 1 მ. — „

№ 573 შაბათი, სექტემბრის 15 1923 წ. უოველდღიური გაზეთი ფასი 200,000

გაზეთი
„ტრიბუნა“
ენკენისთვის 15-დან ეღირება:

პროფკავშირთა წევრებისათვის თვიურად	4.000.000 მ.
დაწესებულებათა და კერძო პირთათვის	5 000.000 „
ცალკე ნომერი	200.000 „

პოლიტიკური მუშაობის გაძლიერება.

პოლიტიკური მუშაობის გაძლიერება, ფართო მშრომელი მასის დაკავშირება პარტიული ორგანიზაციების ირგვლივ, შეტანა ხალხში ცოდნის და შეგნების, მორიგ საკითხად უნდა მიიჩნიოს განსაკუთრებით დღეს ჩვენმა ორგანიზაციებმა.

მრავალი გაუგებრობა, მრავალი გაურკვეველობა, ყოყმანი, ლოდინი, ორპოფობა და გონებრივი ანარქია ახასიათებდა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ უკანასკნელ ხანამდე. მეტად ძნელი, პირდაპირ აუტანელი პირობები იყო შექმნილი პოლიტიკური მუშაობისათვის. გონივრული რეცეპტი, მეცნიური ანალიზი, პოლიტიკური მშრალი ფორმულები, ამაოდ გაისმოდა და იგი საგრძნობ ნიადაგს ვერ პოულობდა. აფექტი, სულიერი გატაცებისა, გრძნობების სიჭარბე ახასიათებდა მასსას შექმნილ მდგომარეობის გამო.

დღეს ნორმალური პირობები დგება სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრებისა და მუშაობისა. საქმიანი სიტყვა, მოქმედება და აზრი ნიადაგს პოულობს მშრომელთა ფართო ფენებში. ადგილი აღარა აქვს აპატიას, უნდობლობას, უიმედობას. მუშაობა ნაყოფიერი, მოქმედება საქმიანი პოულობს დაფასებას. ხალხი დარწმუნდა, რომ ჩვენ საბჭოთა წყობილების დამცველნი, არც მოღალატენი ვართ, არც მტაცებლები, არც მჩაგვრელები. ხალხი ხედავს მრავალ შეცდომებსა და მოუწესრიგებელ საქმეს, მაგრამ ხედავს მტკიცე მუშაობას, ენერგიულ შრომას და ამიტომ იგი მზად არის ჩაებას მუშაობის ფერხულში.

რამდენათაც დადებითი შემოქმედების პერიოდში შევდგით ფეხი, იმდენათ იცვლება ხასიათი პოლიტიკური მუშაობის. წინად საკმაო იყო პოლიტიკური მუშაობისათვის შედარებით უცოდინარი, ზერელე დილეტანტი, რომელიც ენახერხიანათ დაასურათებდა ცარიზმის საშინელებას. რევოლიუციის პირველ დღეებშიაც პოლიტიკური მუშაობა დაპირებების სახით იყო წარმოდგენილი, როდესაც ყოველი პარტია ყველაფერს პირდებოდა ხალხს.

უეჭველად არ გვაპატიებს ისტორია რევოლიუციონერებსა და სოციალისტებს, რომ ხალხის შემეცნებაში რევოლიუცია და სოციალიზმი ჩავნერგეთ რაღაც სამოთხის მგზავს ცნებად, სადაც მშვიდობა და სათნოება სუფევს და ამიტომ ხალხის ნაწილი შესულ რევოლიუციონურ ტეხილებში განზე გადგა, რადგან რევოლიუციის მტკივნეული პროცესები მან რეაქციის სიმპტომებათ წარმოიდგინა.

დღეს კი ძველი სიტყვებით, ვისმეს გინებით და თავის ქებით, ბევრს ვერაფერს გავაკეთებთ ხალხში. ხალხი პრაქტიკულ საქმიანობას მოითხოვს. ეს ბუნებრივი და სამართლიანი მოთხოვნაცაა. ჩვენმა ორგანიზაციებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს მუშებში და გლეხებში სამეურნეო ხასიათის მუშაობას, სასოფლო-სამეურნეო კომუნების დაარსებას, კოლექტიური მეურნეობის სანიმუშო მაგალითების მიცემას.

სიტყვა, პოლიტიკური აზრი, პროპაგანდა ერთი მხრით-საქმე, პრაქტიკული მუშაობა ყოველ ფრონტზედ, კულტურული იქნება იგი სახელმწიფოებრივი თუ კერძოდ სამეურნეო, მეორე მხრით, უნდა ავსებდეს პარტიული, პოლიტიკური მუშაობის შინაარს.

ყოველი პასუხისმგებელი ამხანაგის მოქმედება, ყოველი წევრის მოღვაწეობა სამაგალითო უნდა იყოს ხალხისათვის, წასაბაძი მაგალითი უნდა იყო ნეიტრალური კონტიგენტისათვის. ოდნავი კარიერიზმის ელემენტები, პიროვნული განდიდების სურველი, საქმისადმი ფორმალური დამოკიდებულება, არა გულწრფელი სამსახური პარტიისა მიზნებისადმი და მშრომელი ხალხისადმი საკმაო უნდა იყოს პარტიისაგან გაძევებისათვის, სულ ერთია, ვისაც არ უნდა მოხვდეს ასეთი ხელი „ავტორიტეტულ“ ამხანაგი იქნება იგი თუ უჩინარი პიროვნება.

ხალხის ჭირი და ლხინი, ჩვენი ორგანიზაციის ჭირი და ლხინი უნდა იყოს, ოდნავი უპასუხისმგებლობა სახალხო საქმეში შემჩნეული, გამოაშკარავებული უნდა იქნეს ორგანიზაციის მიერ.

დღეს უკვე იდეალების სფეროში აღარ გვიხდება მუშაობა, ჩვენი ხელით, საკუთარი მარჯვენით უნდა ვაშენოთ ჩვენი აწმყო და მომავალი.

რამდენათაც მეტად შევძლებთ ამ მუშაობის გაცხოველებას, იმდენათ მეტად შევძლებთ ხალხის შემოკრებას ჩვენს გარშემო, იმდენათ მეტად შევძლებთ ჩვენი პარტიის მიზნების მიღწევას.

ბევრი დაბრკოლებაა პარტიული მუშაობისათვის, მაგრამ საჭიროა მათი დაძლევა. მხოლოდ ამოძრავება, მუშაობა და კვლავ მუშაობაა საჭირო, რომ მშრომელთა მიზანს მივაღწიოთ.

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

— საკავშირთაშორისო კომისია მიემგზავრება იანინში მკვლელობის გამოსაძიებლად.

— იაპონიაში კორეელების აჯანყება მთლად ჩააქრეს.

— იტალეთი კისრულობს გერმანიასა და საფრანგეთს შორის შუაკაცობას.

— ნორვეგიაში ფაშისტური მოძრაობა ძლიერდება.

— ინგლისში შესდგა ფაშისტთა მეორე ორგანიზაცია.

— კორეელებს აღეკრძალათ იაპონიაში შესვლა.

— იაპონიაში არსდება აღდგენის სამინისტრო.

— კერენსკი, ზენზინსკი და კუსკოვი გადადიან პრაგაში და გაზეთი „დნი“—ც იქ გადააქვთ

— ოსმალეთს დაუბრუნეს ქ. ჩანაკი და სიმაგრენი.

— იტალიამ უარი სთქვა ფიუმეს საკითხში შვეიცარიის პრეზიდენტის მედიატორობაზედ.

ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲗ-ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ

ᲖᲐᲞᲠᲝᲡᲢᲐᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ 14 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ

იტალეთ-საბერძნეთის კონფლიქტი

„დეილი ტელეგრაფი“ იუწყება, რომ ხმები, ვითომც ინგლისი აღარ მოითხოვდეს კორფუს ოკუპაციის საკითხის „ერთა ლიგაში“ გადაცემას, არ არის მართალი. ინგლიის არ შეუძლიან დასთანხმდეს კორფუს ოკუპაციის გაგრძელებას განუსაზღვრელ დრომდე.

იტალეთის წარმომადგენელის შუამდგომლობის თანახმად, ელჩთა კონფერენციის სხდომა გადაიდო ოთხშაბათამდის, რადგანაც იტალეთის წარმომადგენელს თავის მთავრობისაგან არ მიუღია ინსტრუქცია.

საკავშირთაშორისო კომისია ორშაბათს მიემგზავრება იანიხში იტალეთის მისიის წევრთა მკვლელობის გამოსაძიებლად.

როგორც ხმები დადის ბერლინში, მუსოლინი, მას შემდეგ რაც საბერძნეთი შეასრულებს ელჩთა კონფერენციის დადგენილებას, კორფუს ევაკუაციის წინასწარ პირობად წამოაყენებს ამ ოკუპაციის ხარჯების ანაზღაურებას, რომლებმაც უკვე 15 მილ. მიაღწიეს

ბერლინის სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ბერლინერ ტაგებლატი“, აღშფოთებულია ელჩთა კონფერენციის დადგენილებით, რომლითაც სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზედაც მოხდა მკვლელობა, პასუხისმგებელია ამისათვის. გაზეთი ამბობს რომ ეს დადგენილება სილის გარტყმაა „ერთა ლიგისათვის“, რომელიც გაექცა ვოროვსკის მკვლელობისათვის პასუხისმგებლობას. და ხაზს უსვამს, რომ შვეიცარიას ჯერაც არ დაუკმაყოფილებია რუსეთი.

ფიუმეს საკითხი.

ვენა. კორფუს დაჭერის გამო, სამხრეთი-სლავია, რომელიც თანახმა იყო ფიუმეს გამგებლობა გასცემოდა იტალეთ-სამხრეთ-სლავიის კონსორციუმს, ეხლა ისევ მოითხოვს რაპალოს ხელშეკრულების პირობების შესრულებას. სამხრეთ სლავიის მთავრობა უკან იწვევს ფიუმეს შესახებ მოსალაპარაკებლად რომში გაგზავნილ დელეგაციას. პუანკარემ წინადადება მისცა პაშიჩს საფრანგეთის შუაკაცობის შესახებ, რისთვისაც სამხრეთ-სლავიამ მოითხოვა იტალიისაგან ულტიმატუმის ვადის გაგრძელება.

ამავე დროს სამხრეთ სლავიის მთავრობა ცდილობს მოაგვაროს საბერძნეთთან სალონიკში თავისუფალ ნავთსადგურის შექმნის საკითხი.

რომი. „დეილი მეილის“ კორესპოდენტთან საუბარში მუსოლინმა განაცხადა, რომ ინგლისს შეუძლია ჰქონდეს იტალეთის მეგობრობის იმედი მხოლოდ თანასწორობისა და იტალეთის პატივისცემის საფუძვლებზედ. კერძოდ ფიუმეს საკითხში იტალეთი ისწრაფის საკითხის მშვიდობიანად მოგვარებისაკენ.

ვენა. იტალიამ უარი სთქვა შვეიცარიის პრეზიდენტის სამედიატორო სასამართლოზედ ფიუმეს საკითხში, ხოლო ულტიმატუმის ვადა კი გაუგრძელა სამხრეთ-სლავიას, იმ პირობით კი, რომ აწარმოონ უშუალოდ მოლაპარაკება. პაშიჩის რწმუნებით, მისი მოლაპარაკება პარიზში იტალიის ელჩთან იმედს იძლევა, რომ საკითხი მშრიდობიანად გადასწყდება.

მიწის ძვრა იაპონიაში

მთელ იაპონიის რადიოსადგურებიდან მუშაობს მხოლოდ სამი, დანარჩენები ძლიერ დაზიანდა.

კორეის აჯანყებულთა რაზმებს, რომლებიც გაჩნდნენ იქ მიწის ძვრის შესახებ ცნობის მიღებისათანავე, იაპონელებმა ბოლო მოუღეს. ტოკიოში მოკლეს 40 კორეელი, რომელთაც ბრალდებოდათ სამხედრო ძალებისათვის შეიარაღებულ წინააღმდეგობის მოწყობის სურვილი.

იაპონიის ელჩმა ვლადივოსტოკში ს. ს. რ. ჰ. გარეშე საქმეთა კომისრის რწმუნებულს გადასცა თავისი მთავრობის სამადლობელი ნოტა გამოცხადებულ თანაგრძნობისათვის.

ტოკიოს ყაზარმებში იმყოფება 15,000 დაპატიმრებანი. იაპონიაში შესვლა კორეელებისათვის აღკრძალულია.

მცხოვრებლებისადმი მიმართულ მოწოდებაში იაპონიის პრემიერი იამონოტო აცხადებს, რომ მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს აღადგინოს წესიერება და დაამზადოს დაზარალებულ მცხოვრებლებისათვის სურსათი. ეს მაჩვენებელია, რომ იაპონიაში მღელვარება სერიოზულ ხასიათს იღებს.

იაპონიის მთავრობა ფიქრობს დაარსოს აღდგენის სამინისტრო. სხვილი კომერციული ბანკები თხოულობენ უცხოეთის კაპიტალით სარგებლობას და პირველ საჭიროების საგნების თავისუფალ შემოტანის უფლებას.

გამოქვეყნებულმა საუბარმა ჩიჩერინთან, კარახანის დეპეშამ და სურსათით დატვირთული რუსეთის გემის „ლენინის“ ჩასვლის მოლოდინმა გააცხოველა მეგობრული გრძნობები რუსეთისადმი. ოსაკას ვაჭართა ლიგა დიდ ინტერესს იჩენს რუსეთ იაპონიის მოლაპარაკების აღდგენისადმი, რადგანაც ფიქრობენ, რომ იაპონიის აღდგენა რუსეთის ტყისა და ნედლეულობის დაუხმარებლად შეუძლებელია.

ამერიკის დაპირებებს იაპონიის აღდგენის საქმეში დახმარების შესახებ ხსნიან ამერიკის სურვილით გააძლიეროს თავისი გავლენა იაპონაში.

გერმანიის ამბები.

ლონდონი. საფრანგეთისა და გერმანიის მწარმოებელთა შორის მოლაპარაკება გრძელდება. საფრანგეთში მოლაპარაკებას პესიმისტურად უყურებენ.

ლონდონი. გერმანიის პრესის წარმომადგენლებთან შტრეზემანმა განაცხადა, რომ გერმანიის ფინანსიური მხარისა და მარკის კურსის გაუმჯობესება შეუძლებელია, ვიდრე არ გადასწყდება უცხოეთთან სადაო საკითხები. რურის საკითხი ვერ გადასწყდება პასიურ წინააღმდეგობის გაგრძელებით, მაგრამ ვერც შეიარაღებული ძალით გადასწყდება. დასასრულ შტრეზემანმა მოიგონა თავის წინამორბედ კუნოს განცხადება, რომ საკონტრიბუციო საკითხი შეიძლება გადასწყდეს მხოლოდ რურის ევაკუაციის შემდეგ.

ლონდონი. „დეილი ნეილს“ რომიდან აცნობებენ, რომ იტალიის მთავრობის სხდომაზედ გადასწყდა შუაკაცობა გასწიოს იტალეთმა გერმანიასა და საფრანგეთს შორის. პირველ ყოვლისა იტალეთი დაარწმუნებს გერმანიას, რომ პასიური წინააღმდეგობა უნაყოფოა.

ბერლინი. საფრანგეთის ოფიციალურ წრეებში ადასტურებენ, რომ საფრანგეთის ელჩს ბერლინში უკანასკნელ დღეებში თათბირი ქონდა შტრეზემანთან, მაგრამ ხაზს უსვამენ, რომ გერმანიის წინადადებები არ იყო ჩამოყალიბებული.

რომი. საფრანგეთიდან მიღებულ ცნობებით, რურში პასიური წინააღმდეგობა მოსპობილი იქნება ახლო მომავალში. ელოდებიან აგრეთვე საფრანგეთ-გერმანიის უშუალოდ შეთანხმებას.

ბერლინი. საფრანგეთის საოკუპაციო მთავრობამ აუწყა ქ. დუისდორფის თვითმართველობას, რომ კვირას ქალაქს მოეხსნება ბლოკადა.

ბერლინი. ჟურნალისტთა ბანკეტზედ შტრეზემანმა განაცხადა, რომ მთავრობამ პირველ დღი-

ᲕᲠᲪᲔᲚᲘ

„ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლადო“, სთქვა რუსთაველმა. ეს იყო და დღესაც რჩება ყოველ სასამართლოს იდეალად.

ვერ იტყვის კაცი, რომ ჩვენი დღევანდელი სახალხო სასამართლოები ძალიან მიახლოვებულნი იყვნენ ამ იდეალს.

სხვა მიზეზთა შორის, რომელნიც ხელს უშლიან სახალხო სასამართლოებს, შეასრულონ პირნათლად ნაკისრები მოვალეობანი, არა უკანასკნელი ადგილი უჭირავს მათ მოუწყობლობას და ნივთიერ გაჭირვებას.

ამ მხრივ ეხება სახალხო სასამართლოებსა და გამომძიებლებს „რაბოჩაია პრავდა“ 158 ნომერში და გამოსთქვამს ავტორის ი. ვარძიელის პირით შემდეგ სამწუხარო ფიქრებს:

„სახალხო სასამართლოები უფრო ხშირად მოთავსებულნი არიან ერთს ან ორს პაწია ოთახში განაპირა უბანში, სახურავი ამ სახლებს გაფუჭებული აქვს და წვიმა ჩამოდის, ფანჯრებში მინები არ არის ჩასმული. სასამართლოში არ მოიპოვება არავითარი ავეჯი. მოწმები, მხარენი და სოფლებიდან გამოწვეული მოსამართლენი იმყოფებიან ერთ ოთახში.

გარდა ამისა ადგილობრივი აღმასკომები არ აძლევენ სახალხო მოსამართლეებს საჭირო საშუალებას, რომ მოსამართლენი გავიდნენ ხოლმე სოფლად ადგილობრივ დათვალიერების მოსახდენად. გამომძიებლები მოკლებულნი არიან საშუალებას, წავიდნენ ხოლმე ადგილებზედ საქმის გამოსაძიებლად.

თემის აღმასკომები და მილიცია არ აბარებენ დროზედ მხარეებს უწყებებს. არ წარმოადგენენ ხოლმე სასამართლოში მოწმებს თავის დროზედ და სხვა, და სხვა“.

ჭეშმარიტებად, რომ ეს უნუგეშო სურათი საქმის ვითარებისა. ასეთ პირობებში ძნელია სასამართლოს წესიერად მოწყობა.

ნივთიერადაც სახალხო მოსამართლეები და გამომძიებლები ძალიან გაჭირვებულები არიან. იღებენ მცირე ჯამაგირებს და იმასაც თავის დროზედ არა.

„ადგილებიდან გვატყობინებენო, განაგრძობს ავტორი: სახალხო სასამართლოები მოკლებულნი არიან სულ უბრალო ტეხნიკურ პირობებს, რათა სასამართლო ნორმალურ კალაპოტში ჩააყენონო.

ასე ახასიათებს საქმის გარემოებას ამხანაგი ი. ვარძიელი,—პიროვნება, რომელიც ძალიან ახლოსდგას ხელის-უფლების მთავარ ორგანოებთან და ჩვენ ვიტყოდით: თუ ის უძლურია გამოაკეთოს საქმე, ააცილოს სახალხო სასამართლოებსა და გამომძიებლებს ის უხერხული პირობები, რომელსაც იგი აგვიწერს, მაშ ვიღას იმედი უნდა გვქონდეს, რომ მან გამოგვიკეთოს საქმე.

ადგილებზედ აღმასკომები არ უწევენ არავითარ დახმარებას სახალხო სასამართლოებსაო.

რატომ არ უწევენ?

თუ მოვალენი არიან და არ-კი უწევენ დახმარებას, ეს ხომ ერთგვარი სახელმწიფოებრივი დანაშაულობაა და ამისათვის პასუხი უნდა აგებინოს ცენტრალურმა მთავრობამ, რომლის შემადგენლობას ეკუთვნის თვით ავტორი.

სტ—რი.

დანვე მიზნად დაისახა რურის საკითხის მოგვარება. მისი აზრით ამ საკითხის მოგვარება დიდი დამსახურება იქნება მთავრობისათვის. მაგრამ თავიდანვე, ამ საკითხის გადაწყვეტას აღმოუჩნდა მთელი რიგი დამაბრკოლებელ მიზეზებისა.

შტრეზემანის ახალი წინადადებები შემდეგია: სახელმწიფოსა და კერძო პირების ქონების განსაზღვრული პროცენტი გამოიყოფა სარეპარაციო გადასახადების შესრულების გარანტიად. მთელი ამ ქონებით სდგება „სავაჭრო საზოგადოება ნდობაზედ“. ამ საზოგადოების გამგეობაში მოკავშირეებსაც შეუძლიანთ მიიღონ მონაწილეობა. სარეპარაციო საკითხების ასე გადაწყვეტის წინასწარ პირობად შტრეზემანი აყენებს რურისა და რეინის ოლქებში გერმანიის სუვერენიტეტის აღდგენას. თუ საფრანგეთი დასთანხმდა ამ პირობებს, პასიური წინააღმდეგობა მოსპობილი იქნება.

შტრეზემანის სიტყვით, მწარმოებელნი თანახმანი არიან გადასცენ მთავრობას წინადადების შესასრულებლად საჭირო თანხა. მაგრამ შტრეზემანის წინადადებაში პროცენტის რაოდენობის გაურკვევლობა ამტკიცებს, რომ მწარმოებელთა შორის პროექტი არ პოულობს თანაგრძნობას.

ბერლინი. კობლენცში შესდგა რეინის ოლქის 30 სხვილი ქალაქის წარმომადგენელთა კონფერენცია, რომლის მიზანიც არის მოამზადოს მცხოვრებლები სპეციალურად რეინის ვალიუტის შემოღებისათვის.

ბერლინი. გერმანიაში კვლავ დაიბადა იმედი ამერიკის მხრით ფინანსიური დახმარებისა. ეს იმედი გამოწვეული „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ცნობით, ვითომც ამერიკაში განზრახვა აქვთ ხელმეორედ განიხილონ გერმანიისათვის საერთაშორისო სესხის საკითხი. ამერიკის ფინანსისტები ფიქრობენ, რომ გერმანიაში დაინიშნება „ერთა ლიგის“ გენერალური კომისარი, როგორც ავსტრიაში.

ბერლინი. მიუხედავად მთავრობის რწმუნებისა, რომ ვალიუტის რეფორმა კურსის განსამტკიცებლად არის, დიდი პანიკაა.

ბერლინი. სამ გირვანქიანი პურის ფასი ავიდა 4.2000.000 მარკამდე.

მუშათა მოძრაობა.

კიევი. კიევში შესდგა პროფკავშირთა საზეიმო კრება გერმანიის ამბების გამო. მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ კიევის მუშები თვალყურს ადევნებენ გერმანიის პროლეტარიატის გმირულ ბრძოლას და მზად არიან ძმური დახმარება აღმოუჩინონ ბრძოლის ყოველ ფრონტზედ.

კიევი. მკერავი მუშები გაიფიცნენ, რადგანაც მწარმოებლებმა უარი სთქვეს შრომის ხელშეკრულებაზედ ხელის მოწერაზედ. გაფიცვის კომიტეტმა მოქალაქის მცხოვრებთ მიმართა მოწოდებით ბოიკოტი გამოუცხადონ მწარმოებელთ.

პარიზი. პარიზში შაბათს შესდგა 2 მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელნიც მოითხოვდნენ საზოგადო აბნისტიას. მიტინგზედ გამოვიდნენ შრომის უნიტარულ კონფედერაციის წარმომადგენელნი. ორატორმა გარბერმა დამსწრეთ მოაგონა კომუნის გილბოსა და სხვ. ბედი.

პარიზი. მიუხედავად გაზის საზოგადოების დირექციის მუქარისა მუშების დათხოვნის შესახებ, რომლებიც შაბათს არ დაიწყებდნენ მუშაობას, გაფიცვა ისევ გრძელდება.

რიგა. (ლატვია). ტრამვაის გაფიცულ მოსამსახურეთა საერთო კრებამ დაადგინა განაგრძოს გაფიცვა, ვიდრე ყველა მოთხოვნილებები შესრულებული არ იქნება.

პრაგა. (ჩეხო-სლოვაკია). სამთომადნო მომუშავეთა სახელმწიფო კონფერენციამ ერთხმად დაადგინა განაგრძოს გაფიცია მწარმოებელთა საბოლოო დამარცხებამდე და მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც გმობს სოციალ-დემოკრატ-შრომის მინისტრის პოზიციას, რომელიც ცალმხრივი გამოსვლებით ხელს უშლის კონფლიქტის მალე დამთავრებას.

ლონდონი. ინგლისის ფლოტში იზრდება უკმაყოფილება ანდერსონის კომისიის მოქმედების მიმართ, რომელმაც წინადადება წამოაყენა შეუმცირონ მოსამსახურეთ ხელფასი. მეზღვაურთა საზოგადოება წინადადებას აძლევს თავის წევრებს პარლამენტში გავლენა მოახდინონ კომისიის წინადადების უარსაყოფად.

ს. ს. რ კ. ცნობის გარშემო

ჰელსინგფორსი. ს. ს. რ. კ. სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ფინეთში, ჩორნიხმა, ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს გადასცა რწმუნების სიგელი. რწმუნებულმა აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობა იმედოვნებს, რომ შეთანხმებითი მუშაობის შედეგი იქნება ამ ორ სახელმწიფოთა შორის მეგობრულ ურთი-ერთობის განმტკიცება. საპასუხო სიტყვაში პრეზიდენტმა უსურვა რწმუნებულს წარმატება ამ მიმართულებით მუშაობაში

ქრისტიანია. (ნორვეგია). რუსეთ-ნორვეგიის საზღვაოსნო საზოგადოებამ „ბერგენ ლლოიდ“-ის საზოგადოებისაგან იყიდა 250 ტონიანი გემი თეთრ ზღვაში მიმოსვლისათვის.

პარიზი. დე-მონზი დაპირდა გამოაქვეყნოს წერილები თავის მგზავრობის შესახებ რუსეთში, ჯერ-ჯერობით დაკმაყოფილდა იმით, რომ აღნიშნა რუსეთის ეკონომიურ აღორძინების საჭიროება.

პეკინი. (ჩინეთი). კარახანის პატივსაცემად თითქმის ყოველ დღე იმართება ბანკეტები სხვა და სხვა ორგანიზაციების მიერ. სტუდენტთა კავშირის მიერ გამართულ ბანკეტზედ კავშირის თავმდომარემ განაცხადა, რომ ჩინეთს ერთად-ერთი მეგობარი ყავს—ს. ს. რ. კ., რომელიც დაეხმარება მას ეროვნულ განთავისუფლების საქმეში.

პროფესორთა მიერ გამართულ ნადიმზედ, უნივერსიტეტის რექტორმა აღნიშნა, რომ საბჭოთა ელჩის მხურვალე დახვედრა აიხსნება არა მარტო მით, რომ საერთო საზღვარი გვაქვს, არამედ მჭიდრო კავშირით, რადგანაც ჩვენ ორივე სახელმწიფო ვიტანჯებით იმპერიალისტურ უღლისაგან. ს. ს. რ. კ.-ში ჩინეთი ხედავს მეგობარს, რომელთანაც მას შეუძლია ებრძოლოს ჩინეთის დამჩაგვრელ იმპერიალიზმს.

რეველი. ს. ს. რ. კ. რწმუნებულმა ესტონეთში, სტარკმა, გადასცა რესპუბლიკის პრეზიდიუმს, ფიატსს, რწმუნების სიგელი.

მოსკოვი. მოსკოვში ჩამოსულმა სპარსეთის მეჯლისის დეპუტატმა არბაბ-კოი-ხოსროვმა "როსტას“ სააგენტოს თანამშრომელს აცნობა, რომ მეტად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზედ ს. ს. რ. კ. ნახვამ მან აღნიშნა, რომ მხოლოდ ზოგიერთი პოლიტიკური მოსაზრებანი აფერხებენ სავაჭრო ხელშეკრულების დადებას, რომელიც მეტად ესაჭიროება სპარსეთს.

თეირანი (სპარსეთი). რუსეთის სავაჭრო საზოგადოებასა და სპარსეთის სხვილ ვაჭართა ჯგუფის შორის, სავაჭრო პალატის თავმჯდომარის საიდის მეთაურობით დაიდვა ხელშეკრულება რუსეთ-სპარსეთის შორის შეთანხმებულ საექსპორტო მუშაობის შესახებ. საიდმა აღნიშნა, რომ ეს ხელშეკრულება ხსნის ახალ ეტაპს ამ ორ სახელმწიფოთა შორის ახალ ეკონომიურ დამოკიდებულების საქმეში.

მოსკოვი. სპარსეთის მეჯლისის დეპუტატმა არბაბ-კოი-ხოსროვმა ინახულა ამხ. კრასინი და ესაუბრა რუსეთ-სპარსეთის სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ.

ანგორა (ოსმალეთი). ახალ მთავრობის დეკლარაციაში შინაურ და საგარეო პოლიტიკის შესახებ უმთავრესი ყურადღება მიქცეული აქვს ყველა სახელმწიფოებთან და განსაკუთრებით ს. ს. რ. კ—თან მშვიდობიან დამოკიდებულების განვითარებას.

მოსკოვი. ამერიკის სენატორმა კინგმა „როსტას“ თანამშრომელს განუცხადა, რომ ს. ს. რ. კ. მოგზაურობამ იგი დაარწმუნა მასში, რომ ს. ს. რ. კ. სოფლის მეურნეობა ნელა, მაგრამ შეუჩერებლ[illegible] მიდის წინ. წარმოების [illegible] [illegible] [illegible] სჩანს. ასეთივე პროგრესი სჩანს კულტურულ ცხ[illegible] რებაშიაც.

პრაგა (ჩეხო-სლოვაკია). კერენსკი, ზენინი[illegible] და კუსკოვი გადადიან პრაგაში და გადააქვთ [illegible] ბერლინიდან გაზეთი „დენი“.

ლონდონი. ლონდონში დიდი ინტერესია [illegible] სეთის ჯაგრისადმი.

უცხოეთი

ქრისტიანია. ნორვეგიაში ფაშისტური მოძრ[illegible] ობა ძლიერდება. კრებებზედ სწარმოებს ფაშისტ[illegible] რი პროპაგანდა.

ლონდონი. დუბლინში შესდგა ირლანდიის ფაშისტთა ლეგიონი, რომელიც ისწრაფვის გა[illegible] ერთიანოს სამხრეთ ირლანდიის ყველა პარტიე[illegible] უოლსტერის წინააღმდეგ.

ლონდონი. ინგლისში შესდგა მეორე ფაში[illegible] ტური ორგანიზაცია, სახელად „ბრიტანეთის ფაშ[illegible] სტთა მოძრაობა“, რომელიც მიზნად ისახავს კონ[illegible] სტიტუციის დაცვას და კომუნიზმთან ბრძოლას.

პარიზი. ესპანეთის ყრფილმა ფინანსთა მინ[illegible] სტრმა, ვილლანუევმა პრესის წარმომადგენლებს გ[illegible] ნუცხადა, რომ ესპანეთის ფინანსიური მდგომაოეო[illegible] ბა სერიოზულია. რადგანაც საზოგადოებრივი წრ[illegible] ები უკმაყოფილონი არიან მაროკოს ავანტიურის[illegible] ფიქრობენ, რომ ეხლანდელი მთავრობა დიდხან[illegible] ვერ გასძლებს. შესაძლებელია სამინისტროს შე[illegible] ვლა სამხედრო დიქტატურით, რადგანაც რეაქციო[illegible] ნურ ელემენტებს მთავრობაში დიდი გავლენა აქვ[illegible]

ნიუ-იორკი. გერმანიაში პასიურ წინააღმდ[illegible] გობის შეწყვეტის ხმების გამო ნიუ-იორკის ბირ[illegible] ზედ უცხოეთის ვალიუტამ აიწია.

ვარშავა. (პოლონეთი). ლოძის გაზეთ „რესპუ[illegible] ბლიკა“-ს ცნობით ინგლისელი ფინანსთა ექსპერტ[illegible] იუნგი, რომელიც მიიწვია პოლონეთმა აპირებ[illegible] პოლონეთის სახელმწიფო ბიუჯეტის რევიზია მო[illegible] ხდინოს. თუ რევიზიის შედეგი დაკმაყოფილებულ[illegible] იქნება, მაშინ დაიწყებს მოლაპარაკებას ინგლისის[illegible] და ამერიკის კაპიტალის მონაწილეობით ახალ სა[illegible] მისიო ბანკის შექმნის შესახებ. იგივე აპირებს სპ[illegible] ციალური კონტროლი დაუწესოს პოლონეთის ფინ[illegible] სიურ პოლიტიკას. გაზეთის ცნობით ინგლისის ბ[illegible] ნკირები მზად არიან შექმნან პოლონეთის ახალ[illegible] ვალიუტა, რაიც გამოიწვევს ინგლის-პოლონეთ[illegible] პოლიტიკურ შეთანხმებას.

ვარშავა. ლიტვის წინადადებით, „ერთა ლ[illegible] გან“ აირჩია კომისია ლიტვის ვილნოზედ გამოცხ[illegible]

ძველი თამასუქები

5.

მემარცხენე ფედერალისტები და კომუნისტები

ერთ უდიდეს და უმწვავეს საკითხს შეადგენდა საქართველოსათვის შინა ერების ყოფა-ცხოვრება. სოციალ-დემოკრატიის მიერ წარმოებულმა ეროვნულმა პოლიტიკამ არა თუ არ დააკმაყოფილა საქართველოში მცხოვრები ერები, პირიქით, გააბრაზა, გაანჩხლა, გადაიკიდა, გააღვიძა მათ შორის უნდობლობა და შოვინიზმი.

რანაირი უნდა ყოფილიყო ნამდვილი სოციალისტური პარტიის პოლიტიკა შინა ერებისადმი? აი ეს გენერალური და კარდინალური საკითხი დავსვით ჩვენ 1919 წელში და შემდეგი გზა უჩვენეთ საქართველოს პოლიტიკურ ძალებს.

იმავე 18 მარტის „სახალხოში“ ჩვენ ვწერდით: „სამწუხაროდ, ჩვენ არ გვინახავს საქართველოში არც ერთი ერი, რომელიც ჩვენთან ერთად ყოფილიყოს ჭირსა და ლხინში. ეროვნულმა წინააღმდეგობამ დაანგრია ამიერ-კავკასიის სეიმი, მაგრამ მიუდგომელმა კაცის თვალმა გვიჩვენოს, საქართველოში მოსახლე დიდმა ერებმა: სომხებმა, თათრებმა, ოსებმა, რუსებმა მოიტანეს თუ არა თავიანთი წვლილი საქ. რესპუბლიკის გაძლიერებისათვის? ჩვენ გვწყურიან და გვინდა საქართველოში არსებული ერებისადმი მეგობრული განწყობილება, ჩვენ გვინდა ჩვენსა და ჩვენ მეზობლებს შორის მოისპოს სადაო საკითხები, ერთჯერ ქვეშ ვიცხოვროთ ერთობის და სიყვარულის გრძნობის მიხედვით, მაგრამ წინააღმდეგ ჩვენი სურვილებისა ჩვენი მახლობელი წარსული ისტორია შემდეგია: საქართველოში არ არსებობს არც ერთი განაპირა ადგილი, არც ერთი ეროვნულად მნიშვნელოვანი ჯგუფი, რომელიც ჩვენთვის უნდობლობა და ომი არ გამოეცხადებიოს. მეგობრული ცხოვრების მაგიერ ჩვენ გვქონდა და საუბედუროდ დღესაც გვაქვს ბრძოლა. სამწუხაროდ, საქართველოში ყოველ არა ქართველ ელემენტს იქვი შეაქვს. საქართველოს დროშის ქვეშ ჯერ კიდევ ვერ დამდგარა არა ქართული ელემენტი, ერთი სიტყვით ჩვენ გვაქვს ფაქტიურად **ქართული** რესპუბლიკა, მაგრამ არა გვაქვს საქართველოს რესპუბლიკა. ჩვენ უძლური ვართ არა მარტო პერიფერიაში, ჩვენი მოძმე მაჰმადიანებიც შებოჭილნი არიან პოლიტიკურის სენით, დღითიდღე ომის სამზადისში ვართ, სისტემატიურად ცახდენთ მობილიზაცია-დემობილიზაციას. ჩვენი მიზანი იყო საქ. რესპუბლიკა გადაქცეულიყო დაჩაგრულ ერების სამშობლოდ, მაგრამ ეს ოცნება ოცნებად დარჩა. ჩვენი ჯარიც მხოლოდ **ქართული** ჯარია, ჩვენ ვერ შევქმენით **საქართველოს** ჯარი“.

აწეწილი იყო ჩვენი მდგომარეობა შინა ერებთან, მაგრამ არა ნაკლებ აწეწილი იყო მეზობელ სახელმწიფოს ერებთან. იქვე ჩვენ ვწერთ: „ასეთია ეროვნული მდგომარეობა შინ, მაგრამ ასეთივეა საქართველოს მდგომარეობა მეზობელ სახელმწიფოებთან. დღესაც არავისთან გვაქვს გარკვეული სიტყვა ნათქვამი, არავისთან გვაქვს ალიანსი, ბლოკი, კავშირი. ყველასთანაც ვართ თითქოს, მაგრამ გარკვეით არავისთან ვართ, რაშია საქმე? ჩვენი ქვეყნის დაქვეითების ძირითადი მიზეზი უნდა ვეძიოთ გაურკვეველ სახელმწიფოებრივ პოლიტიკაში და ამ პოლიტიკის განახლებაზე, ამ პოლიტიკის შეცვლას მივანდოთ ჩვენი აღმშენებლობა. დღემდე წარმოებული პოლიტიკა ჩვენი სახელმწიფოსი უეჭველად უვარგისია. ჩვენი პოლიტიკა ვერ მიუდგა საქართველოში არა მარტო სომხებს, არც ერთი ერი ჩვენი რესპუბლიკისა არ არის კმაყოფილი ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკით. შეიძლება შემცდარი იყოს ესა თუ ის ერი ამა თუ იმ საქმეში, მაგრამ შეუძლებელია შემცდარად ჩაითვალოს ყოველი ერი. **ყველა ერიც რომ შემცდარი იყოს ჩვენდამი დამოკიდებულებაში, იმ შემთხვევაშიაც საჭიროა ჩვენი ეროვნული პოლიტიკის შეცვლა, რათა შეუთანხმდეთ ჩვენში ყველა მომქმე ერს**“.

აქედან ლოგიკური კანონით გამომდინარეობს საჭიროება ჩვენის მხრივ ერებისადმი დათმობითი პოლიტიკის წარმოებისა, ესე იგი ეროვნულ საკითხშიაც აშკარა, გარკვეული სოციალისტური პოლიტიკის წარმოების საჭიროება. 19 წელში ჩვენ ვწერდით: „ყველასათვის გასაგები და აშკარა იყო რუსეთის რევოლიუცია, მაგრამ არავისათვის გასაგები არაა რევოლიუციის შემდგომი ხანა ჩვენში და ტაქტიკა ხელმძღვანელ პარტიის—სოც.-დემოკრატიის. სოც.-დემ. პარტიამ ერთს ხელში დაიჭირა, როგორც სოციალისტური, ისე ბურჟუაზიული ბურთი, ხოლო მთელი თავისი პოლიტიკა დაამყარა ორივე ბურთის თამაშს. დღევანდელს ხანაში ეროვნული კითხვა უნდა დავამყაროთ ან ბურჟუაზიულ პრინციპს, ან სოციალისტურ პრინციპს. ვერც დუალისტურ პრინციპს, ვერც ეკლექტიურ პრინციპს ვერ დავემყარებით“.

ჩვენ სავსებით ვიღებთ სოციალისტურ პრინციპს. იქვე ვსწერთ: „სოციალისტური პოლიტიკის წამოყენებით ჩვენ სავსებით ისევე მოვეპყროთ **ადგილობრივ ერებს, როგორც მათი თავისუფალი ნებისყოფა გვეტყოდა**, ისევე გავალს მივცემდით მათ ხაზინას, როგორი გასავალიც ექნებოდა ჩვენს ხაზინას, ჩვენ მივიდოდით ჩვენს ერებთან არა მარტო მიწის უფლებით, მივიდოდით სკოლებით, საავადმყოფოებით, ახალი ადმინისტრაციით, საკუთარი ზნით, საკუთარი ჩვეულებით, ეროვნულის კულტურით და ეროვნული დროშით. სოციალისტური პოლიტიკით ცხადი იქნებოდა ყველასათვის, რომ ქართული რესპუბლიკა მართლა საქართველოს რესპუბლიკაა, **რომ ის ერების რესპუბლიკაა**, რომ აქ მართლა სოციალისტური პარტიებია გაბატონებული და არა ხალხის არისტოკრატია“.

ჩვენ არ დაგვიწერია დეკრეტი, რომ მუხლობრივ წარმოგვედგინა ჩვენი აზრი ეროვნული პოლიტიკის შესახებ. მაგრამ არის თუ არა გასაგები ამხ. ი. ბ.—ისათვის ყოველივე დაწერილი?

შეიძლება ესეც არაა საკმაო. წავიდეთ ქვევით ქვე ვწერთ: „სოც.-ფედ. პარტიის პრინციპი სავსებით ეთანხმება არა მარტო ქართველობას, არამედ საქართველოში მცხოვრებ ყოველ ერის სოციალისტურ პრინციპებს. ჩვენ პრაქტიკულად უნდა დავანახოთ ყოველ აქაურ ერს, **რომ საქართველო მართლა ერების რესპუბლიკაა**, რომ ეროვნული კულტურა მარტო სიტყვის მასალა როდია, არამედ საქმის მასალაცაა, ე. ი. ჩვენ უნდა დავიცვათ ეროვნულ უმცირესობათა ინტერესები, როგორც ეს შეეფერება სოციალისტურ პრინციპს“.

კიდევ იქვე: „ძველი საქართველოს პოლიტიკა ერებისადმი იყო პოლიტიკა თავად-აზნაურული. არსებითად ბურჟუაზიული და იმპერიალისტური. ეს პოლიტიკა უნდობლობის, გაუგებრობის, მძულვარების სავსებით უნდა მოისპოს. სოც.-დემოკრატიის პოლიტიკა აღარ შეეფერება თანამედროვე ხანას და საქართველოს განთავისუფლება და ქართველ ხალხის მეზობელ ერებთან დამეგობრება შეუძლიან მხოლოდ იმ პარტიას და ისეთ სახელმწიფოს, რომელიც ემყარება სოციალისტურ ეროვნულ პოლიტიკას, სავსებით უარყოფს ბურჟუაზიულ პრინციპს და სოციალისტურ ლაპარაკს გაამართლებს სოციალისტური კანონმდებლობით“.

ჩვენს ლაპარაკს არ აქვს ყელზევითი ლაპარაკის ხასიათი. ჩვენი სოციალისტური შემეცნება გამომდინარეობს არსებულ ეკონომიკის ღრმა ანალიზიდან. 19 წლის მარტში, წერილში—„კაპიტალიზმის დეგენერაცია“ ჩვენ კატეგორიულად ვეუბნებით ყველა ერს, მთელ მუშათა კლასს, რომ ჩვენი ხსნა მხოლოდ სოციალიზმშია. „ნუ გგონიათ, რომ ბლოკადა გვაქვს ბოლშევიკებიდან და დენიკინისაგან, სომხეთიდან, და აზერბეიჯანიდან, ფაქტიური ბლოკადა შექმნილია მთელი კაპიტალიზმისათვის, მსოფლიოს კაპიტალისტური კულტურისათვის და ამ ბლოკადას დარღვევა კაპიტალიზმს აღარ შეუძლიან. საქართველოს თანამედროვე კრიზისი იგივეა, რაც ევროპის კაპიტალიზმის კრიზისი, აქ არის საერთო უბედურობა და ვიდრე არ გადაიჭრება ეს საერთო უბედურობა, მანამდისინ საქართველოს დახსნა გაჭირვებიდან—ოცნებაა“.

სოციალისტურ პარტიის ეს ეშმარიტი აზრი ვერ დაინახა ჩვენმა დაჩაჩანაკებულმა სოც.-დემოკრატიამ, ჩვენ ჩავსჩიჩინებდით 19 წელში ყველას: „ათასი კონსტიტუცია რომ შეიმუშაოთ, ათასი მთავრობა რომ შევადგინოთ ვერც ერთი მთავრობა ვერ მოაგვარებს სახელმწიფოს და სახალხო საქმეებს თუ რევოლიუციონურ ევროპასთან ერთად არ მოვსპეთ კაპიტალიზმი. ჩვენი ხსნა სოციალიზმია, სოციალისტურ მოძრაობაში, სოციალისტურ რევოლიუციაში“.

ჩვენ ავიღეთ ძარღვი თანამედროვე მოძრაობისა, გავაშუქეთ ცხოვრების ახალი სტიქიონი, მაგრამ სისტემატიურად ჩვენ გადავდივართ კიდევ უფრო დეტალებზე, ჩვენთვის საკითხის ქვეშ დგება არა მარტო სოც.-დემოკრატიული პოლიტიკა, არამედ მსოფლიოს სოციალისტურ პარტიების თვი[illegible] **დემოკრატიზმის** აკვანიც.

ამხ. ი. ბ. გვეუბნება: რას ფიქრობთ, თქვ[illegible] საბჭოთა სისტემაზეო. ჩვენთვის ეს საკითხი ბოლ[illegible] შევიზამდე არ არსებობდა, როგორც არ არსებ[illegible] ბდა იგი თვით ბოლშევიკებისათვის, თანამედროვ[illegible] საბჭოთა სისტემა, როგორც სისტემა და სახელ[illegible] წაფოებრივი უფლება სოციალიზმისაკენ მიმავა[illegible] ერებისა ნაყოფია მხოლოდ და მხოლოდ რევოლიუ[illegible] ციის შემოქმედების. მაგრამ ჩვენს პარტიაში ამ სა[illegible] კითხს დაუწყეთ „ჯიჯგნა“ მე 1919 წლიდან და არ[illegible] 1921 წლიდან ამხანაგო ი. ბ.

პირველი კრიტიკა დემოკრატიზმისა [illegible] [illegible] ლამენტარიზმისა დაიბეჭდა „სახალხოში“ 19 [illegible] აპრილის 26. ეს კრიტიკა ეკუთვნის არა მემარჯვ[illegible] ნე ფედერალისტს, არამედ ჩვენსავე ამხანაგს, მემ[illegible] რცხენე ფედერალისტს სიმონ ხუნდაძეს. წერილშ[illegible] „დემოკრატიზმი და სოციალიზმი“ ამხ. სიმონ. ხუ[illegible] დაძე აკრიტიკებს მენშევიკების პროგრამასა [illegible] ოპორტიუნიზმს. იგი სწერს: „ბუნება და შინაარს[illegible] მენშევიზმისა გვეუბნება, რომ დემოკრატია დიდ[illegible] ხანია ასცდა ნამდვილს რევოლიუციონურ სულ[illegible] სოციალისტურს გზას, ჩაეფლო ბურჟუაზიულს ჭაო[illegible] ბში, საიდანაც მისი ამოყვანა მხოლოდ მის[illegible] სიკვდილით შეიძლება; ოპორტიუნისტული მენშევი[illegible] ზმი, როგორი სისტემისა და ხარისხისაც არ უნდ[illegible] იყოს იგი, აშკარად და გარკვევით ბურჟუაზიულ[illegible] შინაარსისაა და დიდი მანძილით არის დაშორებუ[illegible] ლი თანამედროვე რევოლიუციონური პროლეტარია[illegible] ტისა და მშრომელი გლეხობის მოძრაობისაგან“ [illegible] შემდეგ ავტორი აღნიშნავს მენშევიკების პროგრა[illegible] მის დამხობას „კომუნისტურ მანიფესტის“ პრინ[illegible] ციპებიდან, და დასძენს: „კომუნისტური მანიფეს[illegible] ტი“ უარყოფს, ოპორტუნისტულ **მინიმალურ პროგრამასა და დემოკრატიზმს**, რომელი[illegible] გზას უხსნის, და უკაფავს კაპიტალიზმის განვითარ[illegible] ბას. მარქს რევოლიუციონური პროლეტარიატ[illegible] **პირველ ნაბიჯად მიაჩნია პოლიტიკური ძალა-უფ[illegible] ლების ხელში ჩაგდება და შემდეგ**—აღიარებ[illegible] ისეთს **გარდამავალს საშუალებასო**, რომელთა შე[illegible] წეობითაც შესაძლებელი იქნება სოციალისტურ[illegible] წყობილების განმტკიცება. ეს **არის საშუალებას[illegible] გარდამავალი პერიოდის.** კაპიტალიზმის სამეფო[illegible] დან შრომის სამეფოში, რომელსაც მიზნად აქვს დ[illegible] სახული კაპიტალისტური მეურნეობის მოსპობა [illegible] არა მისი განმტკიცება.

ასეთი იყო სოციალისტური მოძრაობის თეო[illegible] რია და პრაქტიკული გზები მარქსიზმის ორტოტო[illegible] სალურ სახარებაში განმტკიცებული და დასაბუთ[illegible] ბული. **ეს თეორია და პრაქტიკა ეთანხმებოდა [illegible] უახლოვდებოდა მაშინდელ მუშათა მოძრაობ[illegible] ხასიათსა და შინაარს**“.

ამხ. ხუნდაძე განაგრძობს: „მარქსი ძლი[illegible] მცირე მნიშვნელობას აძლევდა პარლამენტარუ[illegible] უვერტიურას და ძლიერ ეჯავრებოდა პროფესიონ[illegible] ლური პარლამენტარისტები. **მარქსის აზრით ისი[illegible] დაავადმყოფებულნი არიან პარლამენტარუ[illegible]**

დებულ პრეტენზიების განსახილველად. პოლონეთის დელეგატმა პროტესტი განაცხადა ვილნოს საკითხისადმი დაბრუნების გამო.

პანოვერი. ლონდონიდან მიღებულ ცნობით, 10 სექტემბერს კალკუტაში მოხდა ძლიერი მიწის ძვრა. დაინგრა ბევრი სახლი, მსხვერპლი ბევრია.

ლონდონი. ბრიტანეთის გაზეთების ცნობით, ოსმალეთის ევაკუაციას, ბრიტანეთის ჯარები თანახმად გეგმისა დაამთავრებენ 1 ოქტომბრისთვის.

ბერლინი. მოკავშირეებმა ოსმალეთს დაუბრუნეს დარდანელში ქ. ჩანაკი და მისი სიმაგრენი.

ბერლინი. ეგვიპტის ნაციონალისტების ლიდერმა ზაგდულ-ფაშამ მარსელიდან წასვლის დროს განაცხადა, რომ მან მტკიცედ გადასწყვიტა ქაირში მისვლისთანავე განაახლოს თავისი მოქმედება ეგვიპტისათვის დამოუკიდებლობის მოსაპოებლად.

ბერლინი. ბოლგარეთის ტელეგრაფის სააგენტოს ცნობით, სოფიაში სწარმოებს კომუნისტების დაპატიმრება. ყველა კომუნისტური კლუბი დაკეტილია.

ბერლინი. ბუდაპეშტიდან მიღებულ ცნობით ეროვნული კრება დაშლილია 13 ოქტომბრამდის, ვიდრე დაბრუნდება გარეშე საქმეთა მინისტრი ბეტლენი. მემარჯვენეებმა თავისი ობსტრუქციებით შეუძლებელი გახადეს კრების გაგრძელება.

ლონდონი. პეკინიდან მიღებულ ცნობით, პარლამენტის სესიაში ქვორუმის არ ყოფნის გამო პრეზიდენტის არჩევა ვერ მოხდა და გადაიდო ოქტომბრისათვის.

ახალი ამბები

სკოლის გარეშე განათლების მუშაკის სახლში. ა-წ. 1 ოქტომბრიდან სკოლის გარეშე განათლების მუშაკის სახლში (პუშკინის წიგნთ-საცავის შენობა მე-3 სართული) გაიხსნება სამაგალითო-საჩვენებელი სკოლა წერა-კითხვის ცოტად მცოდნე და სრულიად უცოდინართათვის ქართულ ენაზე. ამ სკოლის მასწავლებლების თანამდებობის მისაღებად იქმნება დანიშნული შეჯიბრება. ვინც ისურვებს მისცეს გასასინჯი გაკვეთილი უნდა მიმართოს სკოლის გარეშე განათლების მუშაკის სახლის გამგეს ყოველდღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

— **რევიზია.** რესპუბლიკის სოც. დამზღვევ სამართველოს მიერ მოთხოვნილებით იქნა თელავის დამზღვევ კასის რევიზია.

— **კრება.** შაბათს, 15 ენკენისთვეს შესდგება რესპუბლიკის ჯიშიან ცხენების საჯიბნოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, სადაც მოხსენებას გააკეთებს სოც. დამზღვევის შესახებ ამხან. ვ. რცხილაძე.

— **ახალი ცირკულიარი.** რესპ. სოც. დამზღვ. სამართველოს მიერ გამოშვებული იქნა ახალი ცირკულიარი მშობიარობის დროს დახმარების აღმოჩენის შესახებ. ამ დღეებში დაეგზავნებათ დამზღვევ კასებს ცხოვრებაში გასატარებლად.

— **დამზღვევ კასების თვიურ ანგარიშების საწარმოებლად.** სოც. დამზღვევის მთავარ სამართველოს მიერ შემუშავებული იქნა ახალი ფორმა, რომელიც ამ დღეებში დაეგზავნებათ ყველა დამზღვევ კასების ხელმძღვანელებს სახელმძღვანელოდ.

— **ქიმიის ფარმაცევტიული განყოფილების დაარსება სახელმწიფო უნივერსიტეტთან.** სახ. უნივერსიტეტთან არსდება ქიმიის ფარმაცევტიული განყოფილება. განყოფილ. კურსი ოთხ წლიანი იქნება; თხოვნები მიიღება 20 სექტემბრიდან.

— **იაპონიაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულ მუშებისათვის** რკინის გზ. ცენტ. კავშირმა დაადგინა გაიღოს 300 ჩერ..

— **ახალ ქალაქის ტეხნიკუმისათვის.** 19 სექტ. „ახალ წრის“ ბაღში ახალ ქალაქის ტეხნიკუმის სასარგებლოდ გაიმართება დიდი საღამო.

— **მედიკო-სანიტარულ შემადგენლობის სრული აღრიცხვა.** ჯანმრთ. სახ. კომ. დადგენილებით გადაწყვეტილია რესპუბლიკის ფარგლებში მოხდეს მედიკო-სანიტარული შემადგენლობის სრული აღრიცხვა.

— **საქონლის ჭირი.** მიწ. მოქ. კომ. ცნობით, ამჟამათ საქონლის ჭირის წინააღმდეგ არსებობს პუნქტები გორის მაზრაში, დანარჩენ მაზრებში საქონლის ჭირი მოსპობილია.

— **დახმარება თამბაქოს არტელს „ლევს“.** ს. ს. ს. რ. შრომის სახ. კომისარიატმა სესხის სახით დახმარება აღმოუჩინა თამბაქოს არტელს „ლევს“ ერთი მილიარდ მანეთის რაოდენობით.

— **სქ. დამშეულთა სასარგებლოთ ლატარიის გათამაშება.** სახ. პატარა თეატრის შენობაში 20 ენკენისთვეს, დილის 12 საათ. გათამაშებული იქნება საქართველოს დამშეულთა სასარგებლოდ ლატარია, რომელზედაც დაესწრებიან: მთავრობათა ორგანოების, საზოგადო დაწესებულებათა, პრესის და სხვა წარმომადგენლები.

— **უმუშევართა არტელებისა და საზოგადო სამუშაოების მოწყობა.** ვინაიდან უმუშევართა რიცხვი დღითი დღე იზრდება, შრომის სახალხო კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა სათანადო ორგანოების წინაშე, რათა მათ მიერ იქნეს გაღებული საჭირო თანხა უმუშევართა არტელებისა და საზოგადო სამუშაოს მოსაწყობად.

— **ღვინის გასაღება.** ა. კ. ცენტ. კავშირის განყოფილებამ წარმო-კავშირისაგან შეისყიდა 1,500 ვედრო ღვინო რუსეთის ბაზარზე გასასაღებლად.

— **მატყლის დამზადება.** ა. კ. ცენტრო კავშირი აწარმოვებს ძოლაპარაკებას სათანადო ორგანიზაციებთან მატყლის დასამზადებლად განზრახულ 25,000 ფუთი მატყლის დამზადება.

— **შრომის ბირჟა.** 13 სექტემბერს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 450 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა—1 უმუშევარი, სამუშაოზე გაიგზავნა 20 უმუშევარი.

— **კონკურსები ჯარის ნაწილებში.** გამოცხადებულია კონკურსები ჯარის ნაწილებში ყაზარმების, სისუფთავეზე, მხატვრულ და მორთვაზე და საერთოდ ყაზარმის ცხოვრების გაუმჯობესებაზე.

— **ჯარის ნაწილების ფერშალთა რეგისტრაცია.** ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა 1 ნოემბრისათვის მოითხოვა ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ყველა განყოფილებისაგან დაწვრილებითი სიები ჯარის გუნდების ფერშლებისა, მათ განათლების ცენზისა და სტაჟის აღსარიცხავათ. რეგისტრაციის შემდეგ გუნდის ფერშლები ჩაებარებენ სა[illegible] სკოლის გამოცდებს, შემდეგ მიიღებენ სათანადო მოწმობებს.

მოგონება სიახლით

არ ვიტყვი, თითქოს თემა იყოს ძლიერ ახალი,—
(რა საჭიროა ვიყო ყალბი ამ შემთხვევაში?)
ალბათ მადონას ექნებოდა ლოყაზე ხალი.
ვფიქრობ: რათ ერგო საქართველო მას არჩევანში?...

***

ვართ შორეული ქარავნები ბებერი მიწის;
საუკუნეებს აეკიდა რუსთველი შოთა;
ჩვენი წარსულის საიდუმლო არავინ იცის,—
არავინ იცის საიდუმლო უხსოვარ დროთა...

***

მოდის ბესიკი საქართველოს თეთრ შარა გზაზე
აღმოსავლური ელვარებით, ძარღვებ აშლილი.
და საშინელი დაკნინების მწუხარე ჟამზე
მერანს აუშვებს ნიჭიერი ბარათაშვილი...

***

ამ მოგონებას არ აკლია თუმც გულწრფელობა,
(ლაყე თავები გაიხსენეთ მოკლე სეანსით).
მისაღებია უსათუოდ ღამის მკვლელობა
და აგონია საუკუნის სხვა რევერანსით....

დავით დოლიძე.

საადი „გულისტან“-იდან.

საზოგადოდ ყველა პირიტყვზეც მაღლა დგა ლომი; ყველა პირიტყვზედ დაბალია ბოლოება ვირი, მაგრამ რაც-რო ეკიანი ხალხია ამტკიცებენ, ვირა რო საპალნეს ეზიდებიან ჯობს, ხოლმე ოქმ-რო კაცსა ჰხევსო; საწყალი ვირი სულელია, მაგრამ მაინც-რო საპალნეს ეზიდების, საყორველია. ის ხარი რო მუშაობს, და ის ვირი, ჯობან იმ კაცებს—რო ხალხს აღონებენ და აწუხებენ. ხალხის წუხებაზედ უთქომთ, რო ერთი უფროსმა ერთს დარვიშს, რომელიც ყარიბი იყო, ქვა დაარტყა თავზეგ. რამოდენი ხნის უკან ის უფროსი ჩააგდეს ჩუყურში (ჭა), ამ დროს მოვიდა ის ყარიბი დარვიში და ქვა დაარტყა თავზეგ. ჭაში დამწყვდეულმა ჰკითხა: შენ ვინა ხარ და რატომ დამარტყი თავზედ ქვაო!

დარვიშმა უთხრა: მე ისა ვარ, რომელსაც შენ ქვა დამარტყი და შემენახვა აქამდიო! დამწყვდეულმა ჭიდან ამოვკივლა: აქნობამდი სად იყავო, რო ახლა მომნახეო?

დარვიშმა ჩოვკივლა: რო შენგან მე მეშინოდა და ეხლა რო ჭაში ჩაგდებული გნახე, მოველი და ჩემ საქმე ვქენო!..

უთქომთ: ხალხს ნუ შააწუხებ, რო შეწუხება არა ჰნახოვო!..

სეიფ. იოსელიანი.

კრეტინიზმით და იდიოტიზმით. მას დიდი სოციალური პრობლემების და კონფლიქტების **ერთად—ერთ გადამჭრელ დიდ იარაღად მიაჩნდათ პროლეტარიატის რევოლიუციონური შემოქმედება.** აქედან ცხადია, რომ მარქსისათვის **დემოკრატიზმი,** რომელიც სოციალისტებისათვის პრელიუდიად ხდება პარლამენტარისტული მოღვაწეობისათვის, **მას სოციალიზმიდან** დაშორებულად მიაჩნდა და აღიარებდა, როგორც რწმენას სასწაულებისადმი. მარქსმა დემოკრატიზმი უარჰყო, როგორც უბრალო გამოხმაურება ბურჟუაზიულ სახალხო პარტიების პროგრამის“.

ამხ. ხუნდაძე ააშკარავებს სოციალ-დემოკრატიის მთელ სიყალბეს და ამტკიცებს, რომ დემოკრატიზმის მიღებით „მუშათა პარტიამ“ უღალატა მარქსიზმს. 19 წლის აპრილში ჩვენი ამხანაგი სწერს: „მარქსიზმი სოც.-დემოკრატიამ პრაქტიკულ ოპორტუნიზმამდე მიიყვანა. როდესაც თქვენ ადარებთ „კომ. მანიფესტს“ თანამედროვე სოც.-დემოკრატიის პრაქტიკულს საქმიანობას, რომელიც აგებულია „ერფურტის პროგრამაზე“, თქვენ გრძნობთ, რომ აქ ძირითადი განსხვავებაა, ისეთივე განსხვავება, როგორიც არის რევოლიუციონურ ბოლშევიზმსა და ოპორტუნისტულ მენშევიზმს შორის“.

აქედან ყველა ხედავს, თუ საით არის ამხ. ხუნდაძის მიმართულება, აქედან აშკარაა ისიც, რომ რევოლიუციონური ბოლშევიზმი და მარქსიზმი ჩვენს ამხანაგს ერთ და იგივე მოძღვრებად მიაჩნია.

მითხარით ამხ. ი. ბ. რა აზრებით უნდა ვყოფილიყავით ჩვენ გამსჭვალული მაშინ, როცა ასეთ რამეებს ვწერდით მაშინ, როცა მთელი საქართველოს სოციალ-დემოკრატია და მისი ამყოლ-დამყოლები ბოლშევიკებს სახავდნენ რეაქციონერებად, ბანდიტებად, ხოლერის და ტილის ხალხად?

მიჩვენეთ ერთი მაგალითი სადმე ქართულს მწერლობაში რაიმე ასეთი აზრის და სიტყვისა?

დიახ, ჩვენ ფრთხილად შეუდექით დემოკრატიზმის კრიტიკას. ამხ. ხუნდაძე სწერდა 19 წელში: „სოციალიზმსა და დემოკრატიზმის მიზნებსა და საშუალებებს შორის არ არის არავითარი შემაერთებელი ხაზი; დაკავშირება და შეუღლება ამ **ორი სხვა და სხვა სოციალური კათეგორიებისა** ლოგიურის მხრივაც უნდა ჩაითვალოს საეჭვო აზროვნების ნაყოფად“.

დიაღ, სოციალიზმსა და დემოკრატიზმს შორის არავითარი ნათესაობა არ არის. ჩვენი ჯგუფისათვისაც ამ ახალ აზრს თან და თან ეყრებოდა საფუძველი. 19 წლის შემდეგს წერილში ამხ. ხუნდაძე ამბობს: „როგორც ვხედავთ, **დემოკრატიზმისა და სოციალიზმის მიზნებს შორის არსებითი წინააღმდეგობაა.** პირველი გულისხმობს წარმოების ინდივიდუალურ ფორმას, მეორე—წარმოების კოლექტიურ ფორმას—თავისუფალ კავშირზე განმტკიცებულს“.

იღებს თუ უარყოფს გადაჭრით ჩვენი ჯგუფის წევრი დემოკრატიზმს? ამაზე ამხ. ხუნდაძე გადაჭრით აცხადებს: „ასეთი დაპირისპირება დემოკრატიზმსა და სოციალიზმისა სადაო არაა“.

აი ასეთი იყო ი. ბ. ჩვენი პოზიცია, პოზიცია ახალი, პოზიცია მთელი ჩვენი საზოგადოებისათვის უცნობი და ახალი. ამ პოზიციის შემდეგ ამხანაგს უნდა გადაედგა სრულიად გარკვეული პრაქტიკული ნაბიჯი და აი 1919 წელში, სექტემბერში, პარტიულ კონფერენციაზე ამხ. ს. ხუნდაძე კატეგორიულად მოითხოვს საბჭოთა სისტემას და მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალში შესვლას.

1919 წელში ჩვენს ჯგუფის შორის მწიფდება კითხვები კიდევ უფრო დეტალურად, ჩვენ ვიწყებთ ლაპარაკს მხოლოდ და მხოლოდ მუშათა კლასის ჰეგემონიაზე, სამოქალაქო ომებზე, წითელი ლაშქრის, ამ დიქტატურის ჩირაღდანის წითელ გენერლებზე. 19 წლის 24 ივლისის ნომერში ამხ. ხუნდაძე სწერს: „**თანამედროვე ომის ადგილი სამოქალაქო კლასიური ბრძოლის მკაცრმა ქარტეხილმა დაიჭირა და ნაციონალურ სახელმწიფოთა შავი დროშები რევოლიუციისა და სოციალიზმის წითელმა ინტერნაციონალურმა დროშებმა შესცვალა. რევოლიუციის პროცესში საბრძოლველად ირაზმებიან არა მარტო სახელმწიფოებრივი ერთეულები, არამედ განსაკუთრებული სოციალური კლასები და მთლიანი ნაციონალური ორგანიზმი ისერება მკვეთრი კლასიური დემოკრატიული ხაზებით**“.

იმავე 1919 წლის აგვისტოში პროლეტარიატის გაკვეთილ მოქმედებაზე დავიწყეთ ლაპარაკი. ჩვენ ვსწერთ: „**საერთაშორისო რევოლიუციის განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ერთი რომელიმე კლასის გარკვეული მოქმედება. სახოგადოებაში მხოლოდ ქალაქის და სოფლის პროლეტარიატია ის კლასი, რომელიც ტონს, სახეს და ძალას აძლევს რევოლიუციას**“.

ჩვენ უთვალთვალებთ რუსეთის რევოლიუციონურ პროლეტარიატის ბრძოლას და ვსწერთ: „რუსეთის რევოლიუციაში ორი მომენტია აღსანუსხავი. პირველ სარევოლიუციო ხანაში რუსეთის პროლეტარიატი ებრძოდა თავის ნაციონალურ მტრებს და მხოლოდ იმას ღა ოცნებობდა, რომ გარეშე მტერს არ მოეხდინა რევოლიუციაზე თავდასხმა. რევოლიუციის მეორე ხანა არის დამარცხება ნაციონალური მტრის, რევოლიუციის გაღრმავება და რევოლიუციის ახალი ასპარეზის გაჩენა—უცხო ქვეყნის მტრებზე იერიშის მიტანა. რევოლიუცია ნაციონალურ ფარგლებიდან გადადის ინტერნაციონალურ ფარგლებისაკენ—ეს არის ღონიერი რევოლიუციის სტიქია და ეს სტიქია სავსებით ამჩნევია რუსეთის რევოლიუციას“.

ჩვენი ამხანაგები აღფრთოვანებული იყვნენ რევოლიუციის ასეთი განვითარებით. ისინი ხოტბას ასხამდნენ რევოლიუციის გმირებს იმ დროს, როცა ჩვენს ირგვლივ ყველა გერმანელების მისყიდულ აგენტებს ნათლავდნენ წითელი ჯარის მეთაურებს—ლენინს და ტროცკის.

ბევრს გონია და ეს ასე გონია ამხ. ი. ბ.—ს, რომ ჩვენ წითელ ჯარს და მის გენერლებს გუნდრუკს უკმევთ მხოლოდ 1921 წლიდან. ცდებიან ყველანი და ცდება ამხ. ა. ბ.—იც.

ჯერ კიდევ 1919 წლის აგვისტოს № 602-ში ჩვენი მესამე ამხანაგი, შემდეგ მემარცხენე—ვახტანგ კოტეტიშვილი სწერდა: „**განა რუსეთის რევოლიუციის ხახე დღეს ბოლშევიზმი არ არის? მოსპეთ რუსეთში ბოლშევიზმი და რევოლიუციაც მოიხპობა. სხვა ძალა არა სჩანს. რევოლიუციის ეტლმა სხვანი აითრია, ფეხი მოსტეხა და საპყრად აქცია. მემარჯვენე სოციალისტების ბანაკი რუსეთში ინვალიდების თავშესაფარია მხოლოდ. რუსეთის რევოლიუციის სარდლები—ლენინი და ტროცკი არიან. რევოლიუციონერები — წითელი არმიაა და ვინც დღეს მათ წინააღმდეგ რუსეთში ხმალს იმარჯვებს იგი რევოლიუციის მტერია უსათუოდ. ან კომუნისტები, ან კონსერვატორები! და ეჭვს გარეშეა, რომ ყველა რევოლიუციონერის და სოციალისტის გულისყური რუსეთში კომუნისტებისაკენ უნდა იყოს მიპყრობილი**“.

ამ დროშით და ძახილით მივდიოდით ჩვენ წინ რევოლიუციის გზით.

ნუ ეგონება მკითხველებს და ნურც ამხ. ი. ბ.—ს თითქოს ჩვენ არ გვქონდა კრიტიკა ბოლშევიკების.—გვაქვს ხან და ხან ძალიან მკაცრი და განსაკუთრებით ეროვნულ დარგში, მაგრამ ჩვენი ასეთი კრიტიკა ხშირად ნაკლებიცაა იმ კრიტიკის, რომელსაც ადგილი ქონდა და აქვს თვით კომუნისტურ პარტიაში. მაგრამ კომუნისტების კრიტიკას ჩვენ არ გადავყოლივართ, ის კრიტიკა არ ახასიათებს ჩვენს მუშაობას, იგი წვეთია ზღვაში, ჩვენ ერთობ გამსჭვალული ვიყავით რუსეთის და საერთაშორისო რევოლიუციის სიყვარულით.

1919 წლის მიწურულში და 1920 წელში საკითხების დეტალიზაციას კიდევ უფრო ვანვითარებთ. „წიგნით, რომელიც სწორედ 1919 წელში იწერებოდა, ხოლო გამოიცა 1920 წლის გარიჟრაჟზე ჩვენ გვეუბნება: „საუკუნოებრივი წყობილების ძირითადი გადატეხა იწვევს ძალადობას და **ეს ძალადობა ბოლშევიკების დიქტატურასთან ერთად დამახასიათებელია რუსეთის ოქტომბრის შემდეგი ტხოვრების. მაგრამ რაა აქ არაბუნებრივი?**“.

ჩვენ ბუნებრივად მიგვაჩნდა დიქტატურა. „იქვი არაა—ვწერდით წიგნში (გვ. 26), რომ იღვრება ხალხის სისხლი, და **რომ დიქტატურას მივმართავთ, მაგრამ სისხლიანი მოვლენები იმდენად სტიქიური ამბავია რევოლიუციის დროს, რამდენადაც რევოლიუცია ფართოა და ღრმა**“.

ჩვენ არა თუ არ ვებრძოდით პროლეტარიატის დიქტატურას, პირიქით იგი ჩვენ მიგვაჩნია ყოველ რევოლიუციაში აუცილებელ მოვლენად. ჩვენს „საგაზეთო პოლიტიკაში“ ვწერდით, რომ საფრანგეთის რევოლიუციაში (1789 წ.) არავის თავში არ ბოსვლია გაემტყუნებია და ბარბაროსობა დაეწამათ იმათთვის, ვინც მიმართავდნენ დიქტატურას“.

ჩვენ პირდაპირ სასაცილოდ მიგვაჩნია დიქტატურის უარყოფა და პარლამენტარიზმი რევოლიუციის ქარცეცხლში. რუსეთის „უუსაშინელეს პირობებში—ვსწერთ ჩვენ 29 გვერდზე—**რასაკვირველია შეუძლებელი იყო რევოლიუციის და სამშობლოს ხსნა ხუთ კუდიან საარჩევნო უფლებით და ლოზუნგით—უანექსიო და უკონტრიბუციო ზავი**“.

მე მინდა ვკითხო ამხ. ი. ბ.—ს—პოულობს თუ არა ამ დაბეჭდილ სტრიქონებში ყოველ თავის კითხვაზე პასუხს?

—არა?

მაშ კიდევ მოგვესმინოს. 1920 წლის გარიჟრაჟზე ვწერდით ხაზგასმით: „**როგორც ეკონომიურ ცხოვრებაში კაპიტალიზმის თანამდროვე განვითარება არ იწვევს ისტორიულ კაპიტალიზმის ყოველ კლასიკურ ფორმების გამოსახვას, ისე პოლიტიკურს ბრძოლაში სრულიად ბუნებრივია ძალაუფლების გადასვლა მონარქიზმიდან ნამდვილ სახალხო უფლებაში რესპუბლიკანურ წყობილების შაბლონურ ფორმების გარეშე**“.

აქ აშკარაა, რომ ჩვენ ვლაპარაკობთ საბჭოებზე. რუსეთის საბჭოთა სისტემას ჩვენ ვიღებდით 20 წლის პირველ თვეებში და რუსეთის საბჭოებს სრულიად დადებითად ვეხებით: „ბოლშევიკებმა უმოწყალოდ მოსპეს, ამოაგდეს და დედამიწის ზურგიდან წაშალეს ძველი სახელმწიფოებრივი აპარატი, **შექმნეს მუშათა და გლეხთა საბჭოები და გადასცენ მთელი ძალა-უფლება ამ საბჭოებს**“ (გვ. 33).

როგორც საბჭოთა სისტემისადმი, ისე მესამე ინტერნაციონალისადმი ჩვენი დამოკიდებულება აშკარა იყო. ჩვენ მეორე ინტერნაციალს უწოდებდით ლიბერალურ მუშათა ინტერნაციონალს და ვსწერდით, რომ მუშათა კლასის სიმპატიები კომინტერნისაკენაა. 20 წლის გარიჟრაჟზე ჩვენ ვსწერდით: „ყოველი მიუდგომელი დემოკრატი თუნდაც ევროპიელ სოციალისტების დამოკიდებულებაში მე-II **ლიბერალურ მუშათა ინტერნაციონალისა და მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალისადმი დაინახავს, რომ ევროპის პროლეტარიატი გადაინარა ბოლშევიკების სახარგებლოდ**“ (გვ. 42).

არის თუ არა ყოველივე ეს საკმაო ამხ. ი. ბ.— მგონი გეყოფათ!? მგონი სულ მუდამ დაბეჭდილ მასალაზე გვქონდა ლაპარაკი, ვგონებ, რომ „ამირანის ღიღინი“ და გულის ზრახვებზე არაა აქ ლაპარაკი.

ამხანაგო ი. ბ., თქვით ამის შემდეგ რაც გნებავთ, მაგრამ ერთს ყოველი ადამიანი აღნიშნავს: საქართველოში ყველა ცუდები ვიყავით, მაგრამ ყველაზე მეტად მხოლოდ ჩვენი ჯგუფი აკეთებდა რევოლიუციის აზრს და საქმეს.

ეხლა ნება მიბოძეთ პრაქტიკულ მუშაობაზედაც მოგახსენოთ ორიოდე სიტყვა და დაგანახოთ ქაღალდზე დაწერილი თუ ჩვენს ნამდვილი კონტაქტი ვისთან ქონდა.

თედო ღლონტი.

— **მექრთამეობის მებრძოლ კომისიის გაუქმება.** რკინის გზის სამართველომ გააუქმა მექრთამეობის მებრძოლი კომისია და მის საქმეების შესახებ დაევალა ადმინისტრატიულ განყოფილებას.

— **გაზ. „წითელ არმიელის„ შეჩერება.** ტეხნიკურ მიზეზების დაბრკოლების გამო შეჩერებულია დროებით გაზ. „წითელ არმიელი“.

— **უმუშავართა შელავათის მიცემა.** შრომის ბირჟამ გააგრძელა მოწმობების მიცემის ვადა, რომელიც მიცემული იყო 3 თვით ბინების შელავათის გამო.

— **მოწყალე დების აღრიცხვა.** ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა დაადგინა მოახდინოს მოწყალების დების აღრიცხვა, რომლებიც მსახურობდენ ომის დროს.

— **ქურდობა.** მე-9-ე სამილიციო რაიონში 10 სექტემბერს ნაშუადღევის 4 საათზე თუმანოვ № 2-ში გაქურდული იქნა მოქ. ნერა მორეინ. ბინა მისი სახლში არ ყოფნის დროს. წაღებულია სხვა და სხვა ნივთები ღირებული 820 მილ. მან.

— **თავ-დასხმა.** მე-2-ე სამილიციო რაიონში 11 სექტემბერს საღამოს 10 საათზე ისმაილ აზულოვს, მცხოვრები ბერძნის ქ № 23, თავს დაესხნენ ექვსი შეიარაღებული პირი, რომლებმაც წაიღეს სხვა და სხვა ნივთები, ღირებული 2 მილიარდ მანეთზე მეტი. დაზარალებულის ჩვენებით ეჭვით დაპატიმრებულია ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის წევრი მიკირტიჩ გარვარიანცი.

— **ქურდობა ცენტრალურ მუშათა კლუბში.** 10 სექტემბერს ცენტრალურ მუშათა კლუბის შენობაში მოპარული იქნა 54 ელექტრონის სანათური, ღირებული 150 მილიონ მან. ეჭვით დაპატიმრებული არიან რამოდენიმე პირი.

— **ვალიუტის კურსი.**

14 სექტემბერი.

ჩერვონეცი	45,500,000 მ.
სტერლინგი ეფექ.	44,000,000 „
ჩეკი.	43,000,000 „
დოლარი ეფექ.	9,600,000 „
ჩეკი.	8,900,000 „
ოსმალური ლირა	6,000,000 „
საბჭოთა ფული	20,000 „

პარტიაში

შაბათს, 15 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე პარტიის ცენტრალურ კლუბში დანიშნულია მე-4 რაიონის წევრთა და კანდიდატთა საერთო კრება. მოხსენებას წაიკითხავს ამხ. **სერგო ამაღლობელი** შემდეგ თემაზედ **„უტოპიური სოციალიზმი“**

დასაწყისი საღამოს 7 საათზედ. შესვლა შეუძლია პარტიის ყველა წევრთ და თანამგრძნობთ.

სოფ. საგვაზავო. (ახალ აბაშის თემი). სოფ. საგვაზავოს მთლიანი შრომის სკოლაში მოხდა მეგარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მორიგი კრება შაბათს 2 ეკენისთვეს დღის 3 საათზე, სადაც დაესწრო დაუკლებლივ ყველა ამხანაგები. კრება გახსნა პარტ-ორგანიზაციის თავმჯდომარემ ამხ. პლ. გვაზავამ. პირველად ამხანაგებს ვრცელი მოხსენება გაუკეთა სენაკის მაზრის კონფერენციის დელეგატმა და საგვაზავოს პარტ-ორგანიზაციის პასუხისმგებელმა მდივანმა გრიშა რუხაძემ კონფერენციის მუმაობის შესახებ. გააცნო, რა დაწვრილებით პარტიული მუშაობის მდგომარეობა, რომელიც ენერგიულად სწარმოებს მთელს მაზრაში, დეტალურად შეუდგა გაშუქებას იმ საკითხებისა, რომელსაც ვრცლად შეეხო ამხ. თეოდო ღლონტი კონფერენციაზე. დიდი ყურადღება და აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია ამხანაგებთა შორის პოლიტიკური და ეკონომიური მომავალი პერსპექტივა ამის შემდეგ კრებამ უსურვა შემდეგი კონფერენციას უფრო მეტი ნაყოფიერი მუშაობა. შემდეგ გარჩეულ იქმნა შემდეგი საკითხები: 1. პარტიული სამკითხველოს დაარსება. 2. სარევიზიო კომისიის არჩევა. 3. წარმოდგენის შესახებ. პირველი საკითხის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა პარტ. ორგანიზაციის თავმჯდომარემ ამხ. პლ. გვაზავამ, რომელმაც გამოთქვა სურვილი ათი-ოთხმეტი დღის განმავლობაში პარტიული სამკითხველოს დაარსების შესახებ, სადაც მშრომელ მასას შეეძლება ამხანაგების დახმარებით გაეცნონ იმ საჭირბოროტო საკითხებს, რომლებიც სახელმწიფოებრივი აღმშენებლობითი ხანაში ყველას წინ გვიდგას. ეს სამკითხველო უნდა იქნეს საფუძველი იმ მომავალი უფრო ფართო მაშტაბით პარტ. მუშავობისა, რომელიც დასახული აქვს ჩვენს ამხანაგებს. ეს წინადადება დიდი აღტაცებით ერთხმად იქმნა მიღებული, რამაც უფრო გაახალისა ზოგიერთი მშრომელ მასისთვის კეთილმოსურნე ამხანაგები, რაც გამოიხატა იმაში, რომ პარტიულ ამხანაგებმა გადასწყვიტეს შესძინონ სამკითხველოს თავთავიანთი წიგნები, თუ საჭირო მოწყობილობა. აქვე არის განზრახული წერაკითხვის უცოდინართათვის დახმარება. მე-2 საკითხის შესახებ კრებამ იქონია რა მსჯელობა, გადასწყვიტა იქნეს სარევიზიო კომისია შემადგენლობით სამი კაცისაგან. დასახელებულ კანდიდატთა შორის ხმის უმრავლესობით იქმნა არჩეული შემდეგი პირები: 1.—ამხ. ივანე გვაზავა, 2.—ამხ. სერაპიონ. ჭანტურაია, 3.—ამხ. სამსონ ბერიძე. მე-3—საკითხმა ამხანაგები ძლიერ დაინტერესა და გადასწყვიტეს გადალახონ ყოველი დამაბრკოლებელი მიზეზები თავიანთი საკუთარი მეცადინეობით და დადგან წარმოდგენა კვირას 10 ეკენისთვეს. მდ. აბაშის პირას საბავშო ბაღში ადგილობრივ პარტ-ორგანიზაციის სამკითხველოს სასარგებლოდ.

მომწყობი კომისიაში არჩეულია: 1. ამხ. პლ. გვაზავა, 2. გრიშა რუხაძე 3. ამხ. ექვთიმე გახოკია 4. ამხ. სერაპიონ ჭანტურაია. დასასრულ თავმჯდომარემ მოუწოდა ამხანაგებს უფრო და უფრო ენერგიული და დაუღალავი მუშაობის გამოჩენა მშრომელ ხალხის გასათვითცნობიერებლად და საკეთილდღეოდ, რაის შემდეგ კრება იქმნა მის მიერ დახურული.

პას. მდივანი **გრიშა რუხაძე.**

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ხიდისთავი. საქმის მოყვარულისათვის დიად საინტერესო სანახავია ფუტკრების შრომის ასპარეზი—სკა.

შეიძლება ითქვას ანალოგიურ შთაბეჭდილებას სტოვებს დაბა ხიდისთავი.

ხიდისთავის თემი ყოველთვის დაწინაურებული იყო სხვა თემებთან შედარებით. იგი იმ თავითვე იყო მატარებელი თავის საშოში რევოლიუციონური სულის კვეთებისა და ეხლა ხომ, როცა განვლო პირველმა რევოლიუციონურმა ძალთა უკიდურეს დაჭიმვისამ, გამოიცვალა კალაპოტი და შეუდგა განახლებული და გაათკეცებული ენერგიით ახალი ბედის ჭედვას. ეხლა იგი უკვე აღმშენებლობითმა ციებამ შეიპყრო და ჩაება იმ საერთაშორისო აღმშენებლობითი ფერხულში, რომლის სურათი ასეთი სქელი ფერებით და შტრიხებით გადაგვიშალა რუსეთის დიდმა რევოლიუციამ.

საბჭოთა ფედერატიულ პროლეტარულ რესპუბლიკათა აღმშენებლობით მუშაობა ცხადდება ხიდისთავშიაც, მხოლოდ უკვე პატარა მასშტაბით და ისიც მართალია, რომ უფრო შენელებული ტემპით.

ძნელია რასაკვირველია ყველაფერზე ერთად ლაპარაკი და ზოგ რაიმეზედ წინა წერილებში ვისაუბრეთ ხომ.

მორიგი მტკივნეული ადგილი ამ თემის იყო შეუკეთებელი (წლობით) გზები.

აღმასკომის თავმჯდ. ე. ჩიგოგიძე აქაც იჩენს თავის ენერგიულობას და გზის შემკეთებ მუშაობაში ამ თემის ყველა სოფელია ჩაბმული. ზოგიერთ ადგილას იგი უკვე დამთავრებულია.

ყოველთვის მტკივნეული საკითხი იყო ადგილობრივ მცოვრებთათვის საკითხი ხიდის.

თვითონ დაბას მდ. გუბაზოული ჰყოფს ორ არა თანასწორ ნაწილად; დაბის უფრო მოზრდილ ნაწილს იგი აღმოსავლეთ მხრიდგან ჩამოუდის და ამ რიგად სწყვეტს უმცირეს ნაწილს, ბაზარს. იქ სადაც ბაზრის თავია მდინარე გაშლილა მეტად ფართოდ და ამის გამო მოითხოვს დიდსა და მაგარ ხიდეს.

ცხადია ასეთი ხიდის გაკეთება მეტად მძიმე ტვირთს შეადგენს ხელ-მოკლე გლეხებისათვის და მუდამ საჯავრებელ ილიუზიათ გადაჰქცევია.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომ ადგილობრივმა აღმასკომმა მიაქცია რა ყურადღება ამ საკითხს მოჰკიდა მაგრად ხნლი და ჯეროვანათაც გადასჭრიდა კიდეც, რომ საშინელ სტიქიის მოვარდნას (წყალდიდობას) არ განაეცამტვერებინა ოფლისა და გვის შედეგი. ხიდისთავს დაავიწადა ხიდზე ოცნებაც და ილუზიაც.

მაგრამ აი ისევ წამოიჭრა ეს საკითხი და მთვარეულივით დადგა ხიდისთაველ გლეხის წინაშე.

ეხლა ხიდისთავის თემის აღმასკომის თავმჯდომარის ერ. ჩიგოგიძის უშრეტი ენერგიის წყალობით მუშაობა კვლავ გაჩაღებულია და იმედებია სულ მოკლე ხანში ჯეროვანადაც დაგვირგინდეს.

მუშაობაში მოხაწილეობას იღებს ხიდისთავის თემის 8 სოფელი.

ახალგაზდათა დღესასწაული. ორი სეკტემბერი. ამ დღის მოწყობას ინიციატორობდა ახალგაზრდათა კომკავშირი.

ნაშუადღევის 4 საათზე ევლესიის გალავანში გაიმართა დიდი მიტინგი მოხსენება გააკეთა და სიტყვები სთქვენ: ამხ. შეწირულმა, (ოზურგეთი), ჭეიშვილმა და აღმ. თავმჯ. ე. ჩიგოგიძემ.

საღამოს გაიმართა წარმოდგენა.

დაიდგა ორი რევოლიუციონური პიესა, მონაწილეობას იღებდა კომკავშ. მთელი დასი.

პიესის დაწყებამდე ახალგ. კომკავშ. დასიდან გამოვიდა დასელი ამხანაგი, პ. ქერქაძე, რომელმაც განმარტა შინარსიის მიზანი კომკავშირის დასის არსებობის და საზოგადოებას თანაგრძნობისაკენ მოუწოდა. ამის შემდეგ გამოვიდა ამხ. გ. სოსელია. უკანასკნელი შეეხო ახალგაზრდათა დღეს და მისი ისტორიიდან მოიყვანა ფაქტები ახალგაზდათა რევოლიუციონერობის დამამტკიცებელი. პიესა ჩატარდა სოფლის საშუალოდ.

Sichtbarkeit.

ტობანიერის თემი. ერთი თვე არის, რაც ჩვენს თემში ადგილობრივ ინტელიგენტთა ინიციატორობით დაარსდა ლიტერატურული წრე, რომლის მიზანია გამართოს როგორც კერძო, ისე საჯარო ლექცია—მოხსენებები და გასამართებლები ისტორიულ—ლიტერატურულ დარგიდან...

19 აგვისტოს, ხსენებულმა წრემ გამართა ადგილობრივ სახალხო სახლში საღამო, სადაც წარმოდგენილი იყო „გოგია უიშვილი“ დრამა 3 სურათად და შემდეგ მოხთა გოგია უიშვილის გასამართლება...

უნდა ითქვას სიმართლე, რომ ასეთი შინაარსიანი საღამო ტობ. თემის მცხოვრებლებს, ჯერ არ მოუსმენია;

დღემდის მას ასაზრდოებდნენ კომედიებით და კომედიაში „დახელოვნებულმა“ ადგილობრივ ყოფილ სცენის მოყვარეთა წრემ ისე გადააჭარბა თავის უფლებებს, რომ ბოლო ხანს ხელეოვნების ტრიბუნიდან ხშირად გვესმოდა ქუჩური სიტყვები ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ შეთხზული გურულ—იმერული სცენის სახელით...

ამიტომაც იყო, რომ საზოგადოების შეგნებულმა მასამ ზურგი შეაქცია ადგილობრივ სა[illegible]ო სახლს.

მაგრამ 19 აგვისტოს გამართულმა საღამომ ნათლად დაამტკიცა, რომ საზოგადოებას ჯერ არ გატეხია მთლად გული თეატრისადმი; დაინახეს თუ არა საღამო ახალი პროგრამით, დიდი აღტაცებით შეხვთენ საღამოს და თუ უწინ, თეატრში თქვენ ნახულობდით ბოვშებს და ცარიელ სკამებს, დღეს სახალხო სახლში ვხედავთ ინტელიგენციას ადგილობრივ და მეზობელ თემებიდან მოსულს.

პირველად წარმოთქმული იყო სიტყვა ხელოვნების შესახებ, რაც ვერ იყო დამაკმაყოფილებელი და არც ეს იყო დასაშვები, რომ ასეთ საღამოს ლაკონიური სიტყვის შემდეგ კამათის გამოცხადება, რის სურვილიც ქონდათ საღამოს ინიციატორებს.

შემდეგ გაიმართა წარმოდგენა. წარმოდგენილი იყო „გოგია უიშვილი“. პიესა იყო ძალიან სუსტად და არა სრულიად გადაკეთებული. იქ ისეთი ადგილები იყო გამოტოვილი, რომ მისი გამოშვება სცენაზე, ყოველად დაუშვებელია მაგალითად: გოგიას ბიოგრაფია, ბოვშების ალერსი გოგიასადმი, და სხვა, რაც დიდ დანაკლისად უნდა ჩაეთვალოს გადამკეთებელს. მომქმედ პირებს გურული კილო არ ემჩნეოდათ; თუმცა პიესის გმირი გოგია პირველ სურათში ოდნავად ბაძავდა გურულ კილოს.

მიუხედავათ ამისა, გოგიას თითეული გამოსვლა და სუტყვები სიბრალულით უვსებდა გულს დამსწრე საზოგადოებას და, როდესაც გოგიას ამათრახებდნენ, ხალხმა ვერ მოითმინა და ზოგს ტირილიც კი მოსტაცა.

საუცხოვო იყო უკანასკნელი სურათი, მონოლოგი გოგიასი... მყუდროება სუფევს, გოგია ემშვიდობება თავის მძინარე ცოლ შვილს, გოგია განიცდის ტანჯვას და მისი მიმიკა სწორედ მართლადაც, რომ უბრალო გლეხის მიმიკა იყო, რისთვისაც ერთ დადებით მხარეთ უნდა ჩაეთვალოს აღმსრულებელს, თუ კილოს არ მივიღებთ მხედველობაში, არა უშავდა დანარჩენ მომქმედ პირებსაც, ხოლო ნაცვალმ[illegible] თვისი როლი სრულიად [illegible] ასრული[illegible] ცოდნით სცენაზე გამოსვლა დაუშვებელია...

წარმოდგენის შემდეგ გაიმართა [illegible]ბა. ფარდის აწევის სცენაზე გამოჩნდნენ: წრ[illegible] პრეზიდიუმი, ბრალმდებელი, დამცველი და ბრალმ[illegible]დებული გოგია, დამჯდარი, თავ ჩაღუნული და ხ[illegible]ლებ დაკრებილ. პრეზიდიუმის დასამატებლად [illegible] ნაფიც მსაჯულს ირჩევს დამსწრე საზოგადოება თ[illegible]ვის წრიდან. დამსწრე სოფლის მუშებიდან გაისმ[illegible]ხმა: „გოგია უიშვილი ვინაიდან სოფლის მიწის მ[illegible]შაა ე. ი. ეს თვით ჩვენა ვართ, მოვითხოვთ, რ[illegible] ნაფიც მსაჯულთა შორის ერთი ჩვენიანიც იქნ[illegible] არჩ[illegible]“ რაც სისრულეში იქმნა მოყვანილი...

[illegible]ციალურ ბრალმდებლად გამოვიდა პრ[illegible]ლე ტაბიძე და დამცველად გრ. შავგულიძე. გამ[illegible]ვიდნენ არა ოფიციალური ოპონენტებიც, რომელ[illegible] დაც მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივ სოფლ[illegible] მუშებმა და რაც იწვევდა ურთი ერთ შორის გაც[illegible]ხარებულ კამათს...

უკანასკნელი სიტყვა მიეცა ბრალმდებულ[illegible] მადლობის ღირსია აქ აღმსრულებელი, რომელმ[illegible] შესანიშნავათ, მართლადაც უსწავლელი, გაუნათ[illegible]ბელი გლეხის ტიპი დაახასიათა თავის უკანასკნ[illegible] სიტყვაში. მან სთქვა ნაღვლიანათ თავჩაღუნულ[illegible] „სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ ვერ მომიხ[illegible]რხებია ეს ჩემი სათქმელი სიტყვები თქვენ გ[illegible] დმოგცეთ, აქ სასამართლოში მე გავიგე მხოლო[illegible] რომ ამ სკამზე იყო ბრალმდებელი და მეორ[illegible] კი დამცველი, მათი ნალაპარაკევიდან მე ვერაფე[illegible] გავიგე; დასასრულ გთხოვ სასამართლოს ერთი წ[illegible] მით წარმოიდგინონ თავიანთი თავი ჩემს ადგილ[illegible] და შემდეგ მომაკუთვნონ მე ჩემი სასჯელი“, ამ[illegible] შემდეგ სასამართლო შეწყდა.... ხალხი დაიყო ჯგუ[illegible] ჯგუფად და გოგიას ყველა თავისებურად ასამარ[illegible]ლებდა; ყველგან, თეატრის გარეთ, შიგნით და კ[illegible]ლისებში გოგია უიშვილის შესახებ იყო გამართულ[illegible] მსჯელობა. უკანასკნელად გამოცხადდა განაჩენ[illegible], რომლის ძალითაც გოგია უიშვილი იქმნა საბრალ[illegible]მდებულო სკამიდან განთავისუფლებული...

დამსწრე საზოგადოებიდან გაისმა ვაშას ძახ[illegible]ლი და ხანგრძლივი ტაში, რის შემდეგ საზოგადო[illegible]ბა, სრულიად კმაყოფილი საღამოთი დაიშალა [illegible] გზაშიაც კი, სოფლის მუშები გოგიას შესახებ მსჯ[illegible]ლობდნენ...

ვესალმებით ტობ. თემის ლიტერატურულ[illegible] წრეს, ვუსურვებთ ასეთ შინაარსიანი საღამოებ[illegible] მრავლის ვამართვას.

ხეიმანი.

ᲮᲔᲓᲕᲔᲠᲜᲘᲡ

ახალი ოპერის სახელის ძებნაში

ნათქვამია, ისე ძნელი არ არის მოთხრობის დაწერა, როგორც მისი სათაურის გამოძებნაო. ავტორის ნიჭი, მაშასადამე, იმითაც გამოიხატება, რამდენად შესაფერ სახელს დაარქმევს თავის ქმნილებას. **კაცია ადამიანი** მეტად მოხდენილი სახელია ლუარსაბ თათქარიძის თავგადასავლის მოთხრობისთვის.

ზოგიერთი მწერალი კიდევ მეტად საცოდავია, რათგანაც თავისით ვერ დაურქმევია სახელი, ხოლო თუ დაურქმევია, დარწმუნებული არ ყოფილა მის სიკეთეზე და უცვლია, უცოდვილებია, ბოლოს კი მიუღია სხვისი ნაკარნახევი სახელი, ზოგჯერ უმეცრების ნაყოფი.

ასეთი ბედი ეწია ზაქარია ფალიაშვილის ახალ ოპერასაც. ოპერის პირველი სახელი იყო **ლამ.ს თევაზე,** ჩვენის აზრით, ოპერის შინაარსზე ზედ გამოჭრილი, რათგანაც, რომანი სწარმოებს ხატობას, ღამის თევის დროს. თანდებული **ზე** ამ შემთხვევაში სწორედ დროს ჰხატავს, ხომ ვიტყვით **საღამოზე, შემოდგომაზე.** ძველი ქართულიც ჰხმარობს **ზე** თანდებულს დროის აზრით, მაგრამ როგორც მმართველს ნათესაობითი ბრუნვისას. (მაგ. მის-ზე მოჰკუდა; სტეფანოზის-ზე მცხეთას მოაკლდებოდა, იხ. ქარლ. ცხ. გვ. 237). ავტორს **ღამის თევაზე** ჭკუაში არ მოუვიდა, ადგა და უწოდა **ღამის თევა,** რაიც მიუღებელია, რადგანაც ღამის თევა კი არ არის სვიეტი, არამედ ის, რაც მოჰხდა ღამის თევაზე, ანუ ღამის თევის დროს, ე. ი. რომანიული ამბავი ორი რაყიფის და ერთი სატრფოსი.

ეხლა ავტორს ვიღაც უვიცის ჩაგონებით დაურქმევია ოპერისათვის **დაისი,** რაც შინაარსისთვის ისევე შეუფერებელია, როგორც **ღამის თევა.** სიტყვა **დაისი** მზის დასვლას ჰნიშნავს, ანუ მწუხრის დასაწყისს, საღამოს შემოსვლას, შემოღამებას. დაისით ლოცვა ხუცურად არის იგივ ღამის თევა უქმის ძალში, ე. ი. მწუხრის და ცისკრის ერთად გადახდა. მაშასადამე რაკი **დაისი** იგივე ყოფილა, რაც **ღამის თევა,** როგორც უკანასკნელი, ისევე პირველიც უარსაყოფია. უნდა იყვეს **დაისზე,** რაც გასაგები იქნება ისე, როგორც **ღამის თევაზე** იმ განსხვავებით, რომ დაისზე ხუცური, ხოლო ღამის თევაზე მდაბიური, საერო გამოთქმა არის.

მაგრამ კურიოზი იმით არ თავდება. დაისი იმასვე, თუ სხვი უვიც მწიგნობრებს ავტორისთვის აუხსნიათ განთიადია მნიშვნელობით, რაიც მტკნარი უმეცრება არის.

სამწუხაროა, რომ საოპერო რეპერტუარში დაისის რუსული თარგმანი არის **რაზსვეტ,** მაშინ რაცა უნდა იყვეს **სუმერკი.** ოპერას უნდა ეწოდოს **დაისზე,** ხოლო რუსულად უნდა ითარგმნოს პირდაპირ **ნა ვსენოჩნომ ბდენიი;** ისე კი **პოდ ხრამი ვოი პრაზდნიკ.**

პეტრე მირიანიშვილი.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ისტორიულად ჩვენ ნაირ-ნაირი ნიღილიზმი გვახასიათებს, მაგრამ ქართულ ხუროთმოძღვრებაში რომ ნიღილიზმს ვიჩენთ ის ყოველ საზღვარს სცილდება...

უკეთ რომ ვსთქვათ ჩვენში ქართული ხუროთმოძღვრება—ქართული საალმშენებლო სტილი არ სწამთ!..

შეიძლება ეს იმ გარემოებით აიხსნება, რომ ქართველი ერი ნივთიერად უძლური იყო, მას ბევრი შენობები არ აუგია, შენობებს აგებდა უმთავრესად უცხო ელემენტი, რომელიც თავისთავად ცხადია ქართულ სტილს არ დაეძებდა, მაგრამ რაც აუგია ქართველობას იქაც არ სცდილა საკუთარი სახის გამოჩენას, ქართულ ხუროთმოძღვრების გ[illegible]მოსახვას.

ერთად-ერთი ყოფილი საადგილ-მამულო ბანკის შენობა ამშვენებს ტფილისს ქართულ სტილი[illegible] რომ არის ნაშენები და ისიც ისეთ გამოუჩინარ[illegible] ადგილს.

სხვა შენობები სულ უცხოა. ჩვენი კულტურის და ისტორიის გაცნობის მოსურნე ტფილისის დ[illegible]თვალიერებისთანავე იტყვის, რომ ქართველებს საკუთარი ხუროთმოძღვრება არა ჰქონიათო...

როგორც დეპეშებიდან გავიგეთ ადერბეიჯანში ტრამვაის შენობებს აგებენ ინდო-სპარსულ სტილით.

ჩვენში არც ერთი შენობა არ იგება ქართულ სტილით.

საინტერესოა რომელ სტილით აშენებენ ავჭალის ჰიდრო სადგურს!..

განათლების ფრონტზე პროვინციაში სწარმოებს ახალ სკოლების აშენება, მაგრამ არსად ქართული სტილი არაა მიღებული.

ყველაზე უწენარეს ქართულ სტილის დაცვა განათლების ფრონტს ჰმართებს...

სკოლები მაინც უნდა იქმნეს აგებული ქართულ სტილით.

ქართული სტილი დღეს უფლება მოსილი და სავალდებულო უნდა გახდეს...

ამას მოითხოვს ქართული კულტურის სასიცოცხლო ინტერესი...

ევროპიელი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ტირაჟი 1900 ნება დართულია ლიტერატურისა და აზრის გამოცემლობის მთავარ მართველობის მიერ № 636 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, კრუზენშტერნის ქუჩ. № 4.